აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№81 (25.105) შაბათი, 29 - 31 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ისტორიული ვიზიტის ფარგლებში, სიამაყით ვაცხადებ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ამაღლებას სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს. „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ სი ძინპინთან შეხვედრის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ ეს საეტაპო მოვლენა მოგვცემს პარტნიორობის გამყარებისა და არსებული შესაძლებლობების სრული რეალიზაციის საშუალებას," - აღნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.



* * *

ვამაყობ ჩვენი ხალხით, რომელმაც მშვიდობიანად გააპროტესტა რუსეთის ახალი პროვოკაცია - რუსული საკრუიზო ლაინერის საქართველოში, ბათუმის პორტში შემოსვლა, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რითაც სოჭიდან საკრუიზო გემის შემოსვლის გასაპროტესტებლად, ბათუმის პორტში გამართულ აქციას გამოეხმაურა. მისივე თქმით, შავი ზღვის უსაფრთხოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირისთვის.

* * *

აშშ-ის სენატმა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე რობინ დანიგანის დანიშვნას ზეპირი კენჭისყრით მხარი დაუჭირა. დანიგანი აღნიშნულ თანამდებობაზე კელი დეგნანს ჩაანაცვლებს.

* * *

ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება იქითკენ, რომ ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღოს. ამავდროულად, პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური პატიმრობის დასრულება არის გადაუდებელი ამოცანა, - განაცხადა ახლად დანიშნულმა „ნაციონალური მოძრაობის" საგარეო ურთიერთობათა მდივანმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. მისი თქმით, მესამე საკითხი, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა" იმუშავებს, არის უკრაინასთან საგარეო პოლიტიკური კავშირის შენარჩუნება.

მოამზადა
ია შველიძემ

მოსახლეობის ინტერესებზე, საჭიროებებსა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი

აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები განიხილეს

უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების, განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების და სიახლეების შესახებ მოხსენება კანონმდებლებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარუდგინა, რის შემდეგაც უპასუხა კომიტეტის წევრთა შეკითხვებს და მოისმინა მათი მოსაზრებები.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანინიძის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია ჯანდაცვისა და სოციალური, განათლებისა და სპორტის მიმართულებებით არსებული პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების, მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობის ზრდა და რეგიონისათვის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები.

„ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით არსებული პროგრამების დაფინანსება, რაც უფრო მეტ მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს უფასო სამედიცინო მომსახურება და ძვირად ღირებული მედიკამენტები", - აღნიშნა ილია ვერძაძემ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე „ბიუჯეტის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვისას.

საკითხი კანონმდებლებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა, რომელმაც ისაუბრა მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდაზე. მისი თქმით, ცვლილების შემდეგ სრულად დაფინანსდება თვალის ბადურის დაავადებების მკურნალობა, გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის, რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმის, ფსორიოზული ართრიტის სამკურნალო ძვირად ღირებული მედიკამენტები, ონკოლოგიურ დაავადებათა სამედიცინო მომსახურება და სხვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ცოტნე ანანიძის შეფასებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტი და მასში დაგეგმილი ცვლილებები ორიენტირებულია მოსახლეობის ინტერესებზე, საჭიროებებსა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

კანონმდებლებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ინფორმაცია აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ.

ჯაბა ფუტკარაძემ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზეც წარადგინა და კანონმდებლების შეკითხვებს უპასუხა.

კომიტეტებმა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილების პროექტი უახლოესი პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნიეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები 600 589 400 ლარით განისაზღვრა და პირველად რეგიონის ისტორიაში, ბიუჯეტი 600 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

ანკა ჩხიკვაძე

«ოპოზიციის ნაწილი გაურკვეველი დღის წესრიგით მოქმედებს» 3

«დროს ის უნყობს ფეხს, ვინც ცვლილებებს ილებს» 5

ვინ არის და როგორია ანი ნინიძე 4

ეს ისტორიები არ უნდა დაკარგულიყო 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მე-16 ჯაზფესტივალი - მუსიკალური ფოიერვერკი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ჩვენი ქალაქი მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავების მონაწილეობით, შავი ზღვის რიგით მე-16 ჯაზფესტივალს მასპინძლობს

„ისთერნფრომოუშენსის“ ორგანიზებით გამართულ ფესტივალს მელომანები წლიდან-წლამდე ელოდებიან, რათა მიიღონ ზღვა შთაბეჭდილება და გაიმრავალფეროვნონ ზაფხულის დღეები. „ისთერნფრომოუშენსის“ დამფუძნებელ მიხეილ გიორგაძის თქმით, წელს ღონისძიება ახალ საკონცერტო სივრცეში „sTeij17“-ში იმართება, რომელიც თანამედროვე საკონცერტო დარბაზია და აღჭურვილია უმაღლესი კლასის საერთაშორისო დონის აპარატურით.

- წელს განსაკუთრებულად საინტერესო, სახალისო, მრავალფეროვანი პროგრამაა როგორც ძირითადი კონცერტების, ისე ღამის after party ნაწილში. გარწმუნებთ, ყველა, ვინც ფესტივალს დაესწრება, უდიდეს სიამოვნებას მიიღებს, ძალიან კარგ დროს გაატარებს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს დააგროვებს, - განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ჯაზფესტივალი 28 ივლისს ქართულმა ბენდმა - Bedford Falls-მა გახსნა, რომელიც SOUL TRAIN-მა ჩაანაცვლა.

დღეს მსმენელის წინაშე ლეგენდარული მარკუს მილერი წარსდგება, 30 ივლისს კი შავი ზღვის ჯაზფესტივალს ამერიკული ბენდი „ბრუკლინ ფანკ ესენშელს“ დახურავს.

ყოველი საღამო, „ივერია ბიჩის“ ტერიტორიაზე, ჯემ-სეიშენით დასრულდება, სადაც საზოგადოებას მასპინძლობას ჯგუფი The Next Movement-ი გაუწევს.

სილამაზის ფესტივალი- PSP Beauty Fair-ი

PSP-ს ორგანიზებით, წლის მთავარ სილამაზის ფესტივალს PSP Beauty Fair-ი თავდაპირველად ქუთაისმა უმასპინძლა, 30, 31 ივლისსა და პირველ აგვისტოს კი ბათუმში გაიმართება

სამი დღის განმავლობაში ფესტივალზე მოსული მომხმარებელი შეძლებს იმ საინტერესო გამოცდილების მიღებას, რაც სიამოვნებას ანიჭებს ყველა თავის მოვლის მოყვარულ ადამიანს. მათ აქ დახვდებათ მსოფლიოს ცნობილი ფრანგული, კორეული თუ იტალიური ბრენდების კუთხეები.

ფესტივალის განმავლობაში PSP, სააქციო თუ სასაჩუქრე შეთავაზებების გარდა, მომხმარებელს სთავაზობს სერვისებს პირადი გამოცდილებებისა და სასიამოვნო მოგონებების დასაგროვებლად: სტუმრები გაივლიან უფასო კონსულტაციებს დერმატოლოგიურ და თმის მოვლის სივრცეებში, დაესწრებიან ცნობილი და ადგილობრივი სპეციალისტების მასტერკლასებს, მათ შორის, ვიზაჟის სივრცეში, ჩაიტარებენ თავის მოვლის და ესთეტიკურ პროცედურებს. პატარებს საბავშვო სივრცეში სხვადასხვა სახალისო აქტივობები ელოდებათ; 50 ლარიან შენაძენზე, მომხმარებელს თითოეულ სივრცეში სასაჩუქრე ჩანთა გადაეცემა სამგზავრო ზომის პროდუქტებით.

ბათუმის ფესტივალი გამორჩეული იქნება იმითაც, რომ ადგილზე სრულიად ახალი ბრენდების პროდუქტების პრეზენტაცია გაიმართება.

სილამაზის ფესტივალი სლოგანით We are Beauty საქართველოში პირველად PSP-მ ჩაატარა. ფესტივალმა მასშტაბით გაიმეორა და რიგ შემთხვევებში გაუსწრო კიდეც უცხოურ ანალოგებს, რამაც ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამან განაპირობა მომდევნო ფესტივალის ჩატარება.

ფესტივალს ბათუმის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ანკა ჩხიკვაძე

რუსეთის გემმა ბათუმის ნავსადგური პროტესტის ფონზე დატოვა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„Русский корабль, иди на **й“, „აფხაზეთი საქართველოა“, „რუსეთი ოკუპანტია“ - აღნიშნული შეძახილები ისმოდა აქციაზე, რომელიც ბათუმში რუსული საკრუიზო ლაინერის შემოსვლას მოჰყვა

- არცერთი პატრიოტი ქართველი არ დაუშვებს პუტინისტი რუსების თავგასულ და დამცინავ საქციელს, რისი მომსწრენიც ამ წუთში ვხდებით. გემიდან შეურაცხმყოფელ ჟესტიკულაციებს გვიჩვენებენ, რუსული დროშა გამოფინეს. ეს ზოგადად, საქართველოს და იმ გმირი ბიჭების შეურაცხყოფაა, ვინც სამშობლოს დასაცავად საკუთარი სიცოცხლე დათმო. პირადად მე ყველგან შევუქმნი დისკომფორტს რუსს, მით უმეტეს ისეთს, რომელიც ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის და თურმე მათ ჩვენგან იხსნეს აფხაზეთი. მართლა სამარცხვინოა ის, რაც ხდება დღეს ჩემს ქვეყანაში, რუსეთის მოქალაქეების პარპაშს ვგულისხმობ. მალე ჩვენზე მეტნი იქნებიან ჩვენივე ქალაქში, ქვეყანაში და გვაიძულებენ დავემონოთ, ვემსახუროთ. ჩვენ, ვისაც ნამდვილად შეგვტკივა გული სამშობლოს ხვალინდელ დღეზე, რა თქმა უნდა, ამას არ გავაკეთებთ, რადგან სრულიად ვიზიარებთ აკაკი წერეთლის სიტყვებს - „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, რომ ის ვერასოდეს გახდება ჩვენი მეგობარი. ერთადერთი, ვისაც ომი უნდა (რითაც გვამუნათებს მთავრობა), მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია, რადგან ვერ იტანს მეზობლებს, რომლებიც მათზე ძლიერი, მათზე განათლებული და პროგრესულია. ამიტომ ცდილობენ მათ ჩამყაყებულ წუმპეში ჩაგვითრიონ, უნდათ, რომ მათსავით ვყარდეთ სიბინძურით, გარყვნილებით, სულიერი სისუსტით, მაგრამ ავიწყდებათ ქართული ბრძოლისუნარიანობა, გაუტეხლობა, უშიშრობა. კიდევ ერთხელ ვთხოვ ჩვენს საზოგადოებას, გამოვფხიზლდეთ ხალხო, სანამ მთვრალი „ვანიები“ ეზოში მოთამაშე შვილებს დაგვიფრთხობენ, სიმშვიდეს დაუკარგავენ. „რუსკი კარაბლი“ გავუშვით იქ, საიდანაც მოვიდა და ასე იქნება სულ. მათ არ აქვთ უფლება, ჩვენს მიწაზე ჩამოვიდნენ და დამცინავად განაცხადონ, რომ არ იციან, როგორ მიითვისა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი. მათ ყოველ წუთში უნდა შევახსენოთ, რომ ოკუპანტები არიან, რომ ყოველდღე უდანაშაულო ადამიანებს ხოცავენ დღეს უკრაინაში, ოცდამეერთე საუკუნეშიც. მჯერა, მალე საბოლოოდ დამარცხდება და დაიშლება რუსეთი, ეს პროცესი უკვე დაწყებულია, - გვითხრა საპროტესტო აქციის მონაწილე ზაზა ბერიძემ.

რუსული საკრუიზო გემი, რომელზეც ასეულობით რუსეთის მოქალაქე იმყოფებოდა, 27 ივლისს, დილით ბათუმის პორტში შევიდა და როგორც ცნობილია, მთელი დღის განმავლობაში უნდა გაჩერებულიყო, თუმცა აქციის ფონზე რამდენიმე საათით ადრე მოუწიათ პორტის დატოვება. სანამ პორტს დატოვებდნენ, რუსი ტურისტების ნაწილმა გემბანიდან შეურაცხმყოფელი ჟესტები აჩვენა აქციის მონაწილეებს, საპასუხოდ კი მათ საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირის ჰიმნების მოსმენით „ტკბობის“ საშუალება მიეცათ, ასევე მოისმინეს შეძახილები, რომ ოკუპანტი არ იმსახურებს ქართულ მიწაზე არხეინად სეირნობას. ბათუმის პორტთან შეკრებილებმა სცადეს, უფრო ახლოს მისულიყვნენ გემთან და მათთვის კიდევ უფრო გასაგონად ეთქვათ, რომ ოკუპანტები არიან, თუმცა გემთან მისასვლელ ტერიტორიას პოლიცია იცავდა.

- ძალიან უსუსურად ვიგრძენი თავი, რადგან ჩვენმა პოლიციამ ახლოს არ მიგვიშვა ადამიანებთან, რომლებიც შუა თითს გვიჩვენებდნენ, ენას გვიგდებდნენ, დაგვცინოდნენ. ამდენს რომ ბედავენ, ჩვენი მთავრობის ბრალია. უნდა დააწესონ სავიზო რეჟიმი და არცერთი რუსი არ უნდა გააჭაჭანონ ქვეყანაში, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტში არ აღიარებს, რომ ოკუპანტი ქვეყნიდანაა. მათი მთავრობა უკრაინაში ყოველდღე კლავს ბავშვებს, ქალებს, კაცებს, მოხუცებს, ანგრევს ეკლესია-მონასტრებს, რუსები კი ვითომც არაფერი, ისე დასეირნობენ საკრუიზო ლაინერით და ერთობიან. მჯერა, არ შერჩებათ არცერთი უდანაშაულო ადამიანის სისხლი, არ შერჩებათ ჩვენი ქვეყნის მუდამ „ტერორში“ ყოფნა. საქართველო დამოუკიდებელი არ სჭირდებათ, მათ ქართველები ქვეშევრდომებად წარმოუდგენიათ მხოლოდ. ვერ მიიღებენ, არ გამოუვათ, ყოველთვის ისე გავაძევებთ ჩვენი ქვეყნიდან, როგორც ეს გემი გავუშვით მათ მიერ დათქმულ დროზე ადრე, - აღნიშნა აქციის მონაწილე ლია ნიჟარაძემ.

ბათუმში რუსული საკრუიზო ლაინერის შემოსვლის წინააღმდეგ გამართულ აქციას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ.

„ვამაყობ ჩვენი ხალხით, რომელმაც მშვიდობიანად გააპროტესტა რუსეთის ახალი პროვოკაცია - რუსული საკრუიზო ლაინერის ბათუმის პორტში შემოსვლა“, - ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ტვიტერის“ გვერდზე გამოაქვეყნა.

ბათუმის პორტში გამართულ საპროტესტო აქციას „ქაჯობა“ უწოდა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

„ერთი უხეში ტერმინი მინდა გამოვიყენო, რასაც ვხედავთ, მათ შორის ბათუმში რაც ვიხილეთ, არის უბრალოდ ქაჯობა. ჩვენ არ გვჭირდება ქაჯური პოლიტიკა, ჩვენ გვჭირდება პრაგმატული, რაციონალური, სწორი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის ერთადერთი რეცეპტი იმისთვის, რომ საქართველომ შეინარჩუნოს მშვიდობა და ქვეყანას ჰქონდეს განვითარება“, - განაცხადა კობახიძემ.

„საუკეთესო საჩუქარი ქართველი ხალხისგან ბათუმში“ - ამ სიტყვებით გამოეხმაურა ბათუმის პორტიდან რუსული კრუიზის დათქმულ დროზე ადრე გასვლას ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი.

რუსულმა საკრუიზო ლაინერმა ბათუმის პორტი საქართველოს ჰიმნის ფონზე დატოვა.

უსაფრთხო საცხოვრისი

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ 2023 წლის პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისი უკვე 40 ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. ხელშეკრულება ხუთ მათგანს უკვე გაუფორმდა. საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა ბათუმის იუსტიციის სახლში გაიმართა, რომელსაც აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ესწრებოდა.

სამინისტრო „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამას 2016 წლიდან ახორციელებს.

სოფლის სახლები შენდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტში „სოფლის ცენტრების კეთილმოწყობის პროგრამის“ ფარგლებში, მერისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ინაშარიძეებსა და დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში სოფლის სახლების მშენებლობა დაიწყო. მათი ღირებულება 138 174 ლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა მოინახულეს და იგი დადებითად შეაფასეს. არის ყველა პირობა, რომ ობიექტების მშენებლობები ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში დასრულდეს. ორცვასა და ინაშარიძეებში „სოფლის სახლებს“ შპს „ვარმშენი“ აშენებს.

ფესტივალიდან დაბრუნებულებს შეხვდნენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები, რუმინეთის ქალაქ არგეში საოლქო საბჭოს, კულტურისა და ხელოვნების საოლქო ცენტრის მიერ გამართულ ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალში „CARPATI-2023“ მონაწილე ანსამბლ „ბეთლემის“ წევრებსა და რუმინეთში მყოფ ქედის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რომან დავითაძე, ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის“ დირექტორი ჯამბულ სურმანიძე, შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელი რაულ ცინცაძე, ანსამბლის ხელმძღვანელები იმედა ფარტენაძე და მზია ტუნაძე. ვიზიტის ფარგლებში ქედის დელეგაციის წევრებმა ქალაქებში მიოვენსა და ტოპოლოვენში მოაწყეს საზეიმო მსვლელობა, გამართეს კონცერტი. ფესტივალზე ქედის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბეთლემმა“ საუკეთესო ანსამბლის წოდება დაიმსახურა.

„ოპოზიციის ნაწილი გაურკვეველი დღის წესრიგით მოქმედებს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადი დარჩა, თუმცა პოლიტიკური მუხტი უკვე გააქტიურდა, არაოფიციალურად ქვეყანა საარჩევნო რეჟიმში გადავიდა, პოლიტიკურ სპექტრში გადაადგილებები ხდება: „ნაცმოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პლატფორმა შექმნეს, რასაც პოლიტიკოსთა მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა

სხვა პარტიებიც აქტიურდებიან ამ მიმართებით. „ლელომ“ დააანონსა ახალი ცენტრის დაარსების იდეა, რომელიც ამ პარტიის წევრების თქმით, მესამე პოლიტიკური ცენტრი იქნება და შეეცდება, მოსახლეობის არჩევანი მათზე შეჩერდეს, მმართველი პარტია კი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს. რეალურად, 2024 წლის პოლიტიკური მოზაიკა ქვეყანაში მეტწილად, დამოკიდებულია როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ქმედებებზე, ანუ რამდენად საზოგადოებაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს გადადგამენ. ისიც უდავოა, რომ ეს არჩევნები უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს უახლეს ისტორიაში, რადგან სრულად პროპორციული სისტემით ტარდება, გარდა ამისა, როგორც გაცხადდა, დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება მოახლოებულ არჩევნებს, ეს ერთგვარი ტესტი იქნება საქართველოს დასავლეთთან დასაახლოებლად. ამ და სხვა აქტუალური საკითხებზე პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის ერთ - ერთ ლიდერს ***არჩილ ბერიძეს*** *ვესაუბრებით.*

- პრაქტიკულად, არაოფიციალურად საარჩევნო მარათონი დაიწყო, პარტიები გადაჯგუფებას იწყებენ, ამ მხრივ თქვენი პარტია რა სტადიაშია?

- ჩვენმა პარტიამ ღიად განაცხადა, რომ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მზად არის, ითანამშრომლოს პროდასავლური და კარგი წარსულის მქონე პარტიებთან, თუმცა ჯერ დაჯგუფებებზე საუბარი ნაადრევი მგონია. საარჩევნო ციებ-ცხელებას უფრო მეტი გაერთიანება მოჰყვება არსებული ბარიერის პირობებში.

- უკვე გაცხადდა, რომ „ნაცმოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაერთიანდა, რა შანსი აქვთ მათ არჩევნებზე მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად?

- პირადად ჩემთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ნებისმიერი გაერთიანება იმ იმედით, რომ ეს რეალურ სურათს შეცვლის, ღიმილის მომგვრელია. საზოგადოებისთვის ეს პარტია კვლავ მთავარ მიუღებელ პარტიად რჩება. პოლიტიკურ გაერთიანებას, სადაც მთავარი ძალა „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, მომავალი არ უწერია. ეს არ არის ივანიშვილის პარტიის დამარცხების ფორმულა. ეს გაერთიანება დაჩქარებს „ნაცმოძრაობის“ გაყოფას, ეს კი ოპოზიციურ სპექტრზე დადებითად იმოქმედებს, რადგან ახალ პარტიებს მიეცემათ ახალი თამაშის წესების დადგენის საშუალება, რაც „ბიძინა თუ მიშა“ ნარატივს მოძველებულს გახდის.

- უფრო კონკრეტულად, რატომ არის მიუღებელი „ნაცმოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაერთიანდა, რა შანსი აქვთ მათ არჩევნებზე მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად?

- „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოების ცნობიერებაში დაკავშირებულია უსამართლობასა და ძალადობასთან. 11 წლის შემდეგაც ვერ მოხდა ამ პარტიის რეორგანიზაცია. წინა პლანზე ისევ ის სახეებია, ვინც ძალადობრივ რეჟიმთან არიან დაკავშირებულნი. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ადამიანებს „ქართული ოცნების“ დამარცხება კი არა, სტატუსკვოს შენარჩუნება, ან ერთპიროვნულად ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ. ჩვენ სხვა ინტერესები გვაქვს. ჩვენი მიზანია, რომ ახალმა ხელისუფლებამ (რომელშიც ჩვენი როლი დიდი იქნება) მოაგვაროს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ქვეყანა განვითარების რელსებზე დააყენოს, შექმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანზე.

- „ლელო“ ალტერნატიულ ცენტრს შექმნის, - განაცხადა თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კუპრაძემ...

- პოლიტიკაში ჩართვისთანავე ვთქვით, რომ ჩვენ შევცვლით არსებულ პოლიტიკურ რეალობას და საზოგადოებას მივცემთ შესაძლებლობას, არჩევანი გააკეთოს არა ცუდსა და უარესს შორის, არა მიშასა და ბიძინას შორის, არამედ გაჩნდეს ახალი, განვითარებაზე, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ქვეყნის განვითარებით დაინტერესებული ადამიანებით, განათლებული, კარგი წარსულის მქონე ახალგაზრდებით, რომელთაც ექნებათ ძალა, დაამარცხონ „ქართული ოცნება“ და შემდეგ, მოაგვარონ საზოგადოების პრობლემები. ისეთ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, შეამცირებს პოლიტიკურ პოლარიზაციას და „ნაც-ქოცური“ თამაშის წესებს ჩაანაცვლებს ახალი თამაშის წესებით, რომელიც ქვეყანას პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს.

- საარჩევნო ბარიერი ხუთი პროცენტია. თქვენი აზრით, რამდენი პარტია შეძლებს ბარიერის გადალახვას, ანუ შეძლებს საერთო ჯამში ოპოზიცია ხელისუფლების დამარცხებას?

- ოპოზიციას მოუწევს ძალიან ბევრი იმუშაოს საკუთარ თავსა და ამომრჩეველზე. 5%-იანი ბარიერი პატარა პარტიებისთვის დიდი წინაღობაა - ვინც საკუთარ თავში ძალას ვერ ხედავს, სხვა პარტიებთან მოუწევს მიკედლება ან გაერთიანება. ეს, ერთი მხრივ, პროცესზე უარყოფითად მოქმედებს, მეორე მხრივ კი, აუცილებელს ხდის პარტიების ერთმანეთთან თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს გადადგამენ. ისიც უდავოა, რომ ეს არჩევნები უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს უახლეს ისტორიაში, რადგან სრულად პროპორციული სისტემით ტარდება, გარდა ამისა, როგორც გაცხადდა, დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება მოახლოებულ არჩევნებს, ეს ერთგვარი ტესტი იქნება საქართველოს დასავლეთთან დასაახლოებლად. ამ და სხვა აქტუალური საკითხებზე პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის ერთ - ერთ ლიდერს *არჩილ ბერიძეს* ვესაუბრებით.

- ბასთან“ ალიანსი?

- „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოების ცნობიერებაში დაკავშირებულია უსამართლობასა და ძალადობასთან. 11 წლის შემდეგაც ვერ მოხდა ამ პარტიის რეორგანიზაცია. წინა პლანზე ისევ ის სახეებია, ვინც ძალადობრივ რეჟიმთან არიან დაკავშირებულნი. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ადამიანებს „ქართული ოცნების“ დამარცხება კი არა, სტატუსკვოს შენარჩუნება, ან ერთპიროვნულად ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ. ჩვენ სხვა ინტერესები გვაქვს. ჩვენი მიზანია, რომ ახალმა ხელისუფლებამ (რომელშიც ჩვენი როლი დიდი იქნება) მოაგვაროს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ქვეყანა განვითარების რელსებზე დააყენოს, შექმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანზე.

- „ლელო“ ალტერნატიულ ცენტრს შექმნის, - განაცხადა თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კუპრაძემ...

- პოლიტიკაში ჩართვისთანავე ვთქვით, რომ ჩვენ შევცვლით არსებულ პოლიტიკურ რეალობას და საზოგადოებას მივცემთ შესაძლებლობას, არჩევანი გააკეთოს არა ცუდსა და უარესს შორის, არა მიშასა და ბიძინას შორის, არამედ გაჩნდეს ახალი, განვითარებაზე, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ქვეყნის განვითარებით დაინტერესებული ადამიანებით, განათლებული, კარგი წარსულის მქონე ახალგაზრდებით, რომელთაც ექნებათ ძალა, დაამარცხონ „ქართული ოცნება“ და შემდეგ, მოაგვარონ საზოგადოების პრობლემები. ისეთ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, შეამცირებს პოლიტიკურ პოლარიზაციას და „ნაც-ქოცური“ თამაშის წესებს ჩაანაცვლებს ახალი თამაშის წესებით, რომელიც ქვეყანას პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს.

- საარჩევნო ბარიერი ხუთი პროცენტია. თქვენი აზრით, რამდენი პარტია შეძლებს ბარიერის გადალახვას, ანუ შეძლებს საერთო ჯამში ოპოზიცია ხელისუფლების დამარცხებას?

- ოპოზიციას მოუწევს ძალიან ბევრი იმუშაოს საკუთარ თავსა და ამომრჩეველზე. 5%-იანი ბარიერი პატარა პარტიებისთვის დიდი წინაღობაა - ვინც საკუთარ თავში ძალას ვერ ხედავს, სხვა პარტიებთან მოუწევს მიკედლება ან გაერთიანება. ეს, ერთი მხრივ, პროცესზე უარყოფითად მოქმედებს, მეორე მხრივ კი, აუცილებელს ხდის პარტიების ერთმანეთთან თანამშრომლობაზე

> *„ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოების ცნობიერებაში დაკავშირებულია უსამართლობასა და ძალადობასთან. 11 წლის შემდეგაც ვერ მოხდა ამ პარტიის რეორგანიზაცია. წინა პლანზე ისევ ის სახეებია, ვინც ძალადობრივ რეჟიმთან არიან დაკავშირებულნი. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ადამიანებს „ქართული ოცნების“ დამარცხება კი არა, სტატუსკვოს შენარჩუნება, ან ერთპიროვნულად ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ*

- მმართველი პარტია აცხადებს, რომ ოპოზიცია, ძირითადად, პოპულიზმითაა დაკავებული...

- „ქართულ ოცნებასთან“ დემაგოგიითა და პოპულიზმით კონკურენციის გაწევა ძალიან რთულია, აქ „ოცნება“ უპირობო ლიდერია. ოპოზიციაშიც არიან ისეთები, ვისაც ჰგონიათ, რომ პოპულისტური და შაბლონური ფრაზებით ფონს გავლენ - პოპულიზმით ნასაზრდოები პოლიტიკური პარტიების სიცოცხლისუნარიანობა ძალიან მოკლეა, მათ შორის ოპოზიციაში. საზოგადოებას უფრო მეტი ყურადღება მართებს არჩევანის გაკეთებისას, რათა არ წამოეგოს მარტივ პოპულიზმს, რადგან „ქართული ოცნების“ პროპაგანდა, ძირითადად, შინაარსგამოცლილ, აზრსმოკლებულ პოპულიზმზეა დამყარებული. 2024 წლის არჩევნებზე საზოგადოების ნდობას მოიპოვებს ის პარტია/პარტიები, რომლებიც შინაარსობრივად, ფაქტებით, არგუმენტირებულად ისაუბრებენ საზოგადოების პრობლემებზე და მისი მოგვარების გზებზე. ჩემი თაობა, ე.წ. Gen-Z ყოველთვის სვამს კითხვას, პოპულიზმს კი პასუხები არ გააჩნია.

- მიუხედავად ოპოზიციის ბრალდებებისა ხელისუფლების მიმართ საგარეო კუთხით, ისინი აცხადებენ, რომ 12-პუნქტიანი ევროპული რეკომენდაციების შესასრულებლად ყველაფერი კეთდება. თქვენი აზრი როგორია?

- ევროპარლამენტარებმა კარგად ახსნეს, რომ მხოლოდ 3 რეკომენდაცია შესრულდა, 8 - ნაწილობრივ და ერთის შესასრულებლად საერთოდ არაფერი გაკეთებულა. უფრო მეტიც, საზოგადოების ჩართულობა და ინფორმაციის გამჭვირვალობა ამ პროცესში ძალიან მცირეა. ხელისუფლება, რომელ რეკომენდაციაშიც ძალაუფლების დაკარგვის მარცვალს ხედავს, მის შესასრულებლად ფეხს ითრევს. ამას ემატება ანტიევროპული განცხადებები, რაც ძალიან აზიანებს ამ პროცესს. საზოგადოებას აქვს გონივრული ეჭვი, რომ „ოცნებას“ არ სურს კანდიდატის სტატუსის მიღება, რადგან მოუწევს ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს გაზრდის, ეს კი ავტორიტარულ რეჟიმს ნიადაგს გამოაცლის.

- ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აღმასრულებელ ხელისუფლებას აკრიტიკებს, რას ფიქრობთ?

- ზურაბიშვილი კარგად ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებაში ხელი შეუშალოს და გააღვივოს ანტიდასავლური განწყობები, ამიტომაც ასე ღიად დაუპირისპირდა მმართველ ძალას. ამაზე „ოცნების“ წარმომადგენლებისა და ტროლ-ბოტების პრეზიდენტზე უშინაარსო და დემაგოგიური თავდასხმებიც მეტყველებს. ზურაბიშვილი ბოლო პერიოდში სახელმწიფოებრივად სწორ პოზიციებს აჟღერებს, თუმცა მას აქვს უფრო მეტი ბერკეტი, სიტყვები განამტკიცოს ქმედებით.

- ექსპერტმა ხათუნა ლაგაზიძემ ამას წინათ განაცხადა, რომ ოპოზიცია სათანადოდ ვერ მუშაობს მოსახლეობაში. მისი თქმით, მარტო ხელისუფლების კრიტიკა არაფრისმომცემია, მთავარია, დაანახო ხალხს ქვეყნის განვითარების პერსპექტივა...

- ოპოზიცია ნამდვილად იმსახურებს კრიტიკას, ის სათანადოდ ვერ მუშაობს საზოგადოებასთან და ჩარჩენილია წარსულში. არსებული ოპოზიციის დიდ ნაწილს, მგონია, რომ მოსწონს ეს მდგომარეობა და სტატუსკვო. ახალ ძალებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, შექმნან პოლიტიკური ამინდი. ოპოზიციას მართებს საზოგადოების რეალურ პრობლემებზე საუბარი, საზოგადოებისთვის მათი გადაჭრის გზების და რეალური ალტერნატივის შეთავაზება. საზოგადოების დაკვეთა არის მათის მოგვარებასა და შედეგზე ორიენტირებული ოპოზიცია, სადაც წინა პლანზე იქნებიან ახალგაზრდები. სხვა შემთხვევაში, ისევ იმ წრეზე ვივლით, რაზეც დავდივართ 11 წელია - „მიშა თუ ბიძინა“.

- თქვენი პასუხებიდან ჩანს, რომ კოალიციური მთავრობის შექმნაში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ოპოზიცია რამდენადაა მზად ერთმანეთთან სათანამშრომლოდ?

- თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობა ემზადება ცვლილებებისთვის, მაგრამ ოპოზიციას ძალიან ბევრი სამუშაო აქვს ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე ოპოზიციის ნაწილი გაურკვეველი დღის წესრიგით მოქმედებს, რაც აზიანებს საერთო პროცესს. ამ ფორმის ოპოზიცია არადამაჯერებელია, მაგრამ პროცესები ბადებს განცდას, რომ არჩევნებზე ოპოზიცია სულ სხვა ფორმით წარსდგება და დღის წესრიგში დადგება ის საკითხები, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას, მათ შორის, საგარეო კურსის ცვლილება, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, სამართლიანი სასამართლო და ა. შ. ეს არის საზოგადოების დაკვეთა და მასზე ორიენტირებულ ოპოზიციას, რთული პოლიტიკური გარემოს პირობებშიც კი შეუძლია „ოცნების“ იაფფასიან პოპულიზმს ნიადაგი გამოაცალოს. თუ ოპოზიცია სწორ სტრატეგიას გამოიყენებს, ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალია.

- შემოდგომა საქართველოში ყოველთვის რთული იყო, რას უნდა ველოდოთ წელს და აქვე თანმდევი კითხვა: რომელი პრობლემური საკითხის გადაჭრა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე საშურად?

- რთულია პროგნოზირება, რადგან ოპოზიცია სპონტანურია, რაც ამომრჩეველს აბნევს. საჭიროა, სწორი, გეგმაზომიერი მოქმედება, რაც ამომრჩეველს ოპოზიციის მიმართ ნდობას გაუჩენს და ასევე, ახალ ამომრჩეველს მიიყვანს არჩევნებზე. პირველ რიგში, ამისთვის უნდა მოემზადოს ოპოზიცია. რაც შეეხება პრობლემებს, დღის წესრიგში დგას კანდიდატის სტატუსი, რადგან მას შეუძლია პოზიტიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საზოგადოებას ყველაზე მეტად აწუხებს სოციალური ყოფა, სიღარიბე, ეს უნდა იყოს განხილვის თემა.

უცხოეთი

ნატო და მოკავშირეები შავი ზღვის რეგიონში დაზვერვას გააძლიერებენ, მათ შორის საპატრულო თვითმფრინავებითა და დრონებით, - ამის შესახებ ნატო-უკრაინის საბჭოს სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია. წინა წლიდან მოყოლებული, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის საპასუხოდ, ნატომ მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი წარმომადგენლობა რეგიონში, ბულგარეთსა და რუმინეთში ორი ახალი მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფის ჩათვლით“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიიღო გადაწყვეტილება, შეერთებულ შტატებს უკრაინაში რუსეთის ომის დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებასთან თანამშრომლობის უფლება მისცეს. თეთრ სახლში გადაწყვეტილება რამდენიმეთვიანი შიდა დებატების შემდეგ მიიღეს და ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ მტკიცებულებების სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გაზიარებას დასთანხმდა.

* * *

ნატო-უკრაინის საბჭომ შავ ზღვაში არსებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული ვითარება განიხილა. როგორც ალიანსის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საბჭომ მკაცრად დაგმო შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივიდან გამოსვლის შესახებ რუსეთის გადაწყვეტილება და მისი მიზანმიმართული მცდელობები, შეაჩეროს უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი, რაზეც ასობით მილიონი ადამიანია დამოკიდებული მთელ მსოფლიოში. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუსეთი შიმშილის იარაღად გამოყენებაში დაადანაშაულა. „რუსეთმა უნდა შეწყვიტოს შიმშილის იარაღად გამოყენება. რუსეთის ქმედებები მნიშვნელოვან რისკებს უქმნის შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობას, რომელსაც ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

* * *

დღეს მსოფლიო მეტეოროლოგიურმა სამსახურმა და ევროპულმა ორგანიზაცია **Copernicus**-მა ოფიციალური მონაცემები გამოაქვეყნეს, რომლებიც დასტურებენ, რომ 2023 წლის ივლისი მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ცხელი თვე გახდება. კლიმატური ცვლილებები უკვე ხდება, ისინი შემზარავია და ეს მხოლოდ დასაწყისია, - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა. როგორც მან აღნიშნა, აუცილებელია დაუყოვნებლივი ზომების მიღება კატასტროფის თავიდან ასარიდებლად. „ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ევროპის უზარმაზარი ნაწილისთვის ეს სასტიკი ზაფხულია. პლანეტისთვის ეს კატასტროფაა", - დასძინა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, „ახალ, მრავალპოლარულ მსოფლიოში“ აფრიკა რუსეთის ერთ-ერთი საკვანძო პარტნიორი გახდება. აღნიშნული განცხადება მან სანკტ-პეტერბურგში, რუსეთ-აფრიკის სამიტის გახსნის ცერემონიაზე გააკეთა. „ასეთი მაღალი დონის სამიტები იშვიათია პუტინისთვის, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ ომის გამო დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდა. სანკტ-პეტერბურგის სამიტს მხოლოდ 17 აფრიკული ქვეყნის ლიდერი ესწრება, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ სირილ რამაფოსას ჩათვლით, როდესაც წინა - 2019 წლის სამიტზე ლიდერების რაოდენობა ორჯერ მეტი იყო", - წერს CNN.

მოამზადა
ია ფფელიძემ

ვინ არის და როგორია ანი ნინიძე

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

***ანი ნინიძე** იმ ადამიანებს შორისაა, პირველი შეხვედრისთანავე სიმპათიას რომ იმსახურებს. ის არა მხოლოდ პიროვნული თვისებებით გამოირჩევა, არამედ თავისი საქმის პროფესიონალია - საზმაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი, პოპულარული გადაცემის „დიდი შესვენების“ ერთ-ერთი წამყვანი. თუმცა მისი ძირითადი - თავდაპირველი პროფესია რეჟისორობაა. რეჟისორიც გახლავთ. დღეს ეს ნიჭიერი, ახალგაზრდა ქალბატონი ჩვენი გაზეთის სტუმარია, რათა ჩვენს შეკითხვებს უპასუხოს.*

- გააცანით თქვენი პერსონა ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

- ძალიან მოკლედ, ერთი სიტყვით რომ აღვწერო ჩემი პერსონა, ალბათ ეს სიტყვა იქნებოდა - მთხრობელი. 26 წლის ვარ და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სულ ვცდილობ თხრობას, ჩემი აღქმის გაზიარებას. პროფესიით რეჟისორი ვარ. ადრე მოკლემეტრაჟიანი ფილმებით ვყვებოდი ისტორიებს, ახლა კი ტელეწამყვანის ამპლუა მაძლევს ამის შესაძლებლობას.

- რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი?

- ისევ და ისევ იმან, რომ ემოციების გაზიარება მიყვარს. 15 წლის ასაკში რეი ბრედბერის ერთი ნოველა წავიკითხე - „ენ ტეილორი“. იგი მოგვითხრობს სიყვარულით გათანგულ და გულნატკენ ადამიანებზე. იმდენად

მაყურებელს ვუზიარებდი ჩემს ისტორიას და აქ ვიგრძენი ტელევიზიის მაგია. ეს მედიუმი ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, ამით მოვინუსხე და მალევე ამ გადაცემის წამყვანი გავხდი. აი, ასეთი სასიამოვნოდ არაპროგნოზირებადია ცხოვრება.

- მთავარი საყრდენი სად გეგულებათ - თქვენს საქმეში, ოჯახში, თუ საკუთარ თავში?

- საკუთარი თავი ყველაზე სანდო და ერთგული ნავსაყუდელია. ოღონდ, ამის ვერბალურად ცოდნა და გაცნობიერება სხვადასხვა რამეა. მე წლები დამჭირდა, საკუთარ მესთან მეგობრობა რომ დამეწყო, მაგრამ აშკარაა, თუ შენს თავს ერთხელ დაუმეგობრდები, ეს ურთიერთობა სამუდამოა.

- თქვენი ხასიათი თუ შეცვალა არჩეულმა პროფესიამ თუ პირიქით, ხასიათს მოარგეთ პროფესია?

- იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომელთა აზრით ადამიანის ხასიათი არასდროს იცვლება, მაგრამ აშკარაა, რომ გარემოსთან მიმართებაში გარკვეულ ჩარჩოებში ექცევა. ვინაიდან ტელევიზიაში ბევრ უცხო ადამიანთან მიწევს ურთიერთობა, უფრო და

> *„გაქცევა ყოველთვის შეცდომაა. იგივეა, რაც ავადმყოფობის დროს გამაყუჩებლის მიღება, ტკივილის დროებით გაქრობის სურვილით და არა - საფუძვლიანად მკურნალობა. მით უმეტეს, რომ როგორც უნდა ვეცადოთ, შეცდომებს ვერსად წავუვალთ. რამდენჯერმე ფსკერზე თუ არ ჩავედით, თუ სინანული, დაცემის ტკივილი არ განვიცადეთ, ისე ვერც გავიგებთ, რეალურად რა გზით გვინდა სიარული*

მოვიხიბლე, რომ სურვილი გამიჩნდა, ეს ისტორია ისე გადმომეცა, როგორც თავად ვხედავდი. შემდეგ ასეთი სურვილი პროფესიად ვაქციე და GIPA -ში, აუდიო ვიზუალური ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავბარე. ასე შევბიჯე კინემატოგრაფის ჯადოსნურ სამყაროში.

- როგორ აღმოჩნდით ტელევიზიაში და რატომ მაინცდამაინც ამ არხზე?

- უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, როცა თბილისიდან ბათუმში დავბრუნდი, მალევე წინანდლის პრემიაზე წარმადგინეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის „ოთახი“, სამ ახალგაზრდა რეჟისორთა შორის დამასახელეს. ამ თემაზე სასაუბროდ აჭარის ტელევიზიის დილის გადაცემის სტუმარი ვიყავი. 10 წუთი წამყვანებს და

უფრო იღვიძებს დიპლომატიის უნარი. თუ რეჟისორი ანი მეტად იმპულსური და ემოციურია, ტელეწამყვანი - მეტად მშვიდი და დამთმობია. ალბათ ყველა სიტუაცია თავად გვკარნახობს ლავირების ფორმებს, მთავარია, საკუთარ პრინციპებს და ღირებულებებს არასდროს ვუღალატოთ.

- რა უფრო ახლოსაა თქვენი ცხოვრების წესთან - იაროთ იმ მიმართულებით, რაც ნამდვილად გინდათ, თუ გაექცეთ იმას, რაც ნამდვილად არ გინდათ? რომელია უპირატესი?

- გაქცევა ყოველთვის შეცდომაა. იგივეა, რაც ავადმყოფობის დროს გამაყუჩებლის მიღება, ტკივილის დროებით გაქრობის სურვილით და არა - საფუძვლიანად მკურნალობა. მით უმეტეს, რომ როგორც უნდა ვეცადოთ, შეცდომებს ვერსად წავუვალთ. რამდენჯერმე ფსკერზე თუ არ ჩავედით, თუ სინანული, დაცემის ტკივილი არ განვიცადეთ, ისე ვერც გავიგებთ, რეალურად რა გზით გვინდა სიარული. ეს პროცესი ცურვის სწავლას ჰგავს - გგონია რომ იძირები და ამ კრიზისულ დროს ხვდები, როგორ სწავლობ ტალღების დაძლევას და მეტად თამამი ხდები.

- თქვენი პროფესია რისკენ უბიძგებს ადამიანს...

- რეჟისორობაც და ტელეწამყვანობაც საშუალებას მაძლევს, მაყურებელს ვაგრძნობინო, რომ მათი მესმის, მე ვიზიარებ მათ საფიქრალს, იმას, რაც სტკივათ და რაც ახარებთ. ჩვენ ყველას შეგვიძლია ერთმანეთის თანაგრძნობა თუ ამას მოვინდომებთ. ჩვენი ემპათია თუნდაც ერთ ადამიანს თუ გაამხნევებს, ესე იგი ჩვენი მისია შესრულებულია.

- თქვენი გადაცემას „დიდი შესვენება“, პოპულარულია... გვიამბეთ ამის შესახებ.

- „დიდ შესვენებას“ მაყურებლის თვალში ჯერ მხოლოდ ერთწლიანი ისტორია აქვს, გუნდის წევრებს კი გვგონია, რამდენიმე წელია არსებობს. შიდა სამზარეულო იმდენად ეკლექტური და მრავალფეროვანია, თითოეულს გვზრდის პიროვნულად და პროფესიულად. ამაზე იშვიათად ვსაუბრობთ, ამბობენ, მაყურებელს არ აინტერესებს, რა ხდება კადრს მიღმა, მთავარი ის შედეგია, რაც იმ ერთსაათიან ტელეეთერში ჩანს. მე სხვაგვარად მგონია, ვფიქრობ, საკმაოდ ყურებადი იქნება რეალითი შოუ ტელევიზიის შიდა სამზარეულოს შესახებ. - სანამ პროდუქტი დაიბადება, რამდენ პროცესს გავდივართ და როგორ ვემზადებით მაყურებელთან შესახვედრად.

- თქვენი პროფესიიდან და ბუნებიდან გამომდინარე, მგონია, რომ ბევრს გასცემთ. სანაცვლოდ რას იღებთ იმისთვის, რომ არ გამოიფიტოთ? რით ივსებით?

- ნებისმიერი თბილი უკუკავშირი მაყურებლის მხრიდან არის კომპენსაცია იმისა, რასაც გავცემ - ეს იქნება კმაყოფილი მაყურებლის კომენტარი გადაცემის გვერდზე, თუ ღიმილი შეხვედრისას... ყველაფერი ეს ასულდგმულებს თითოეული წამყვანის მოტივაციას.

- განვითარებისთვის რა უფრო გჭირდებათ?

- თავისუფალი დროის სწორად მართვა. ზოგადად, მგონია, რომ დროის ფუჭად დაკარგვა უდიდესი დანაშაულია, რაც საკუთარი თავის წინაშე შეიძლება ჩავიდინოთ.

- საკუთარი თავის რამდენად მადლობელი ხართ?

- ამას იმით შევაფასებდი, რამდენად მხნედ ვდგავარ კრიზისულ მომენტებში. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი საკუთარ მესთან მეგობრობა. როგორც უკვე აღვწერე, ამ მეგობრობის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდა, მაგრამ ეს ამად ღირდა.

- რა გინდათ, რომ ადამიანები გრძნობდნენ, როცა თქვენ გვერდით არიან - კომპეტენციას, სითბოს, სიმშვიდეს, სიმყარეს? რა არის თქვენთვის უპირატესი?

- ნდობას. ამისთვის კი საჭიროა საკუთარი თავის გვჯეროდეს.

- ადამიანის ცხოვრებას რა ხდის მნიშვნელოვნად?

- თითოეული პროცესის სიღრმისეული აღქმა. ბევრი კითხვის დასმა და ამ კითხვებზე დაუღალავად პასუხების ძიება. ეს მარადიული პროცესია.

- კითხვა, რომელიც ხშირად გიჩნდებათ...

- როდის დაიწყო ეს? რა იყო ამის საფუძველი? რაც მთავარია, არასდროს დავივიწყოთ, ვინ ვიყავით და როგორ მოვედით იმ წერტილამდე, სანამდეც მოვედით. ყველას გირჩევთ, უყუროთ ერთ ანიმაციას - „სიყვარული, სიკვდილი და რობოტები“ ამ სერიალის მეთოთხმეტე სერიაა „ზიმა ბლუ“. ზიმამ ბევრი რამ ნახა, კოსმოსიც კი, მაგრამ ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ კოსმოსზე დიდი და ამოუცნობი სივრცე ჩვენშია, ყოველ ჩვენგანში.

- რომელი ფრაზა გამოდგება თქვენთვის მთელი ცხოვრების მეგზურად?

- თითქმის ყველა კითხვის პასუხი საკუთარი მეს შეცნობის აუცილებლობასთან მიდის. ჩემი აზრით, ცხოვრების კრედოც სწორედ ეს უნდა იყოს - ვინ ვარ მე?

რეპრესირებულები

1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია

ვაგრძელებთ ბათუმში 193738 წლებში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიის გამოქვეყნებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით შეადგინა. შეგახსენებთ, რომ სიას „აჭარის არ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ, რათა რეპრესირებულთა შთამომავლები გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე 595721416 იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან. სულ სიაში 1050 ადამიანია, რომელთა ვინაობას გაგრძელებებით, სრულად შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომრებში.

239. ბერიძე ჰუსეინ არიფოს ძე
240. თურმანიძე ოსმან აჰმედის ძე
241. დუაძე აბდულა მუსტაფის ძე
242. ბოლქვაძე შაჰმურად ჰასანის ძე
243. შაინიძე (იშიგ ოღლი) ისმაილ მამუდის ძე
244. შაინიძე (იშიგ ოღლი) ჰუსეინ ბეხრის ძე
245. ჩხიკვაძე ისმაილ არიფის ძე
246. წულუკიძე იუსუფ ხუსეინის ძე
247. გაბაიძე აბდულა კელეშის ძე
248. დავითაძე რიზო ეიუბის ძე
249. ფუტკარაძე მევლუდ დურსუნის ძე
250. კობალაძე ჰასან იუსუფის ძე
251. მალაყმაძე დაუდ აჰმედის ძე
252. საკანდელიძე ეიუბ მემედის ძე
253. ბერიძე ბექირ შახის ძე
254. მახარაძე თეორათ ხურშუტის ძე
255. ბიბინ ზადერემზი დურსუნის ძე
256. დიასამიძე ოსმან რიშიტის ძე
257. ზოსიძე იდრის რეჯების ძე
258. ჯაიანი ქადო თურანის ძე
259. ბიბინ ზადე რიზა დურსუნის ძე
260. კვიტაიშვილი ლუკა დარისპანის ძე
261. ჩიგოგიძე ერმილე ნიკოლიზის ძე
262. თოდოროვი ფიოდორ ქრისტეფორეს ძე
263. ფრელიხი იოსებ ანტონის ძე
264. სიზოვი სტეფან პეტრეს ძე
265. იორდანი იოსებ პეტრეს ძე
266. შერგერი ფრანც მიხაილის ძე
267. ზინჩენკო სიმონ პეტრეს ძე
268. მიშუსტოვი ფიოდორ ნიკოლოზის ძე
269. ლებედევი მიხაილ ივანეს ძე
270. სტრატონ ლეონტი ლოგინის ძე
271. ხელემენტიკ სტეფანე ემელიას ძე
272. იაროვოი იოვ ფიოდორის ძე
273. აკერმანი ბერნგარდ ივანის ძე
274. მგალობლიშვილი სპირიდონ ანდრეას ძე
275. პროკოპენკო აფანასი კუპრიანეს ძე
276. ლუკიანჩუკი ანდრეა ოსიპის ძე
277. დუბიაგა სტეფანე ლუკიანეს ძე
278. სავოვი აფანასი გიორგის ძე
279. პავლოვი მირიან არსენტის ძე
280. დინკოვი კირილე მიხაილის ძე
281. გრიცაი ლეონტი თედორეს ძე
282. ნაგორნი ფეოდოსი ივანეს ძე
283. მაკაგონოვი პეტრე ნაუმის ძე
284. გუდენკო ნიკიტა სერგის ძე
285. სლობოდნიუკი ვიქტორ ამბროსის ძე
286. კუხიანიძე მიხეილ თომას ძე
287. მენაბდე სამსონ იგორის ძე
288. კიკვაძე მაქსიმე გაბრიელის ძე
289. ოგანეზოვი ნდრეი სერგეის ძე
290. მახარაძე აპოლონ ქიშვარდის ძე
291. ჭავჭანიძე ისააკ კოსტანტინეს ძე
292. ჯალაღონია იონა ლუკას ძე
293. ჩიკვაიძე დიმიტრი კალისტრატეს ძე
294. ცინცაძე ალექსანდრე იგორის ძე
295. ნაკაშიძე დავით მიხეილის ძე
296. გოგიჩაიშვილი აკაკი სამსონის ძე
297. ინწკირველი მიხეილ მოსეს ძე
298. ბზიავა ბარნაბი ტატევოსის ძე
299. თავართქილაძე ვალერიან ესეს ძე
300. ნატალიშვილი პლატონ ივანეს ძე
301. დოლიძე მიხეილ არსენტის ძე
302. ნიკოლაიშვილი დომენტი პავლეს ძე
303. ჯაში გრიგოლ პავლეს ძე
304. ბეჟანიძე აჰმედ მემედის ძე
305. მეისტერი გოვილფი გოტლიბის ძე
306. ბერიძე შულეიმან მუჰამედის ძე
307. ბერიძე ხულუს ხემიდის ძე
308. მიქელაძე აჰმედ ემინის ძე
309. სავოვი ივანე იონას ძე
310. ჯუმიძე იბრაჰიმი ყადირის ძე
311. პოლიკში ივანე პეტრეს ძე
312. ქიქავა ანა ათანასეს ასული

დახვრეტის თარიღი - 01/11/1937

313. ბერაია ვლადიმერ ალექსანდრესძე
314. თევზაძე სერგი სოლომონის ძე
315. ჩახვაძე ერმილე მაქსიმეს ძე
316. ხალიპოვი არკადი სერგოს ძე
317. ლორთქიფანიძე აჰმედ აბდულის ძე
318. მაჭუტაძე მამედ ჰასანის ძე
319. გორგაძე იუნუს სულეიმანის ძე
320. დევაძე ყადირ ხურშუთის ძე
321. ქათამაძე (ათინალ ოღლი) მევლუდ ხასანის ძე
322. ბაბანაძე (ოტი ოღლი) მურად ისმაილის ძე
323. ნაკაშიძე ომერ ჰასანის ძე
324. ზოიძე (მემი ბაირახტარ ოღლი) იაკუბ მევლუდის ძე
325. ლეონიძე ემინ ხასანისძე
326. ლეონიძე შულეიმან ხასანის ძე
327. არძენაძე მევლუდ ჰასანის ძე
328. მიქელაძე (არიფ ოღლი) მუსტაფა არიფოს ძე
329. აბაშიძე აჰმედ დურსუნის ძე
330. ქათამაძე ჰასან ალის ძე
331. თავდგირიძე ჰემიდ ისკანდერის ძე
332. როყვა ჰუსეინ ჯასიმის ძე
333. კონიაძე (ალი ეიდარ ოღლი) შუქრი ალის ძე
334. დიასამიძე ოსმან იუსუფის ძე
335. ტაკიძე ოსმან ეფენდი გასანის ძე
336. ხინიკაძე (ხოჯა) ისკანდერ ასლანის ძე
337. ვერულიძე (ზორბექ ოღლი) ქამილ ეფენდი მემედის ძე
338. კახაძე (იალაუზ ოღლი) ზექერია ისმაილის ძე
339. შავაძე (ყოჩალ ოღლი) იუნუს ალის ძე
340. ჭყონია ქედემ მემედის ძე
341. ხაბაზი ეიუბ რეჯების ძე
342. კვირიკაძე მერჯან კახერმანის ძე
343. თამაზაშვილი (თამაზ ოღლი) თემერ არიფოს ძე
344. ცეცხლაძე ალი არიფის ძე
345. ჯამუშაძე თეოფიკე სულეიმანის ძე
346. ქათამაძე აბასი ყადირის ძე
347. მახარაძე შირინი დურახანის ძე
348. შანთაძე ზექერია ეზიზოს ძე
349. ჯირყვაძე ნიაზ ეზიზოს ძე
350. ბერიძე მეჯიდ ასლანის ძე
351. დევაძე ნური უზეირის ძე
352. დმიტრაძე (დემეტრაძე) შაისმაილ სულეიმანის ძე
353. სურმანიძე ხუსია ხასანის ძე
354. ჯაყელი ნური ესედის ძე
355. ბეჟანიძე მურთაზ სეფერის ძე
356. ხალვაში იზეთ სულეიმანის ძე
357. თავდგერიძე (თავდგირიძე) აჰმედ რეჯების ძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი «აჭარა» №80.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„დროს ის უწყობს ფეხს, ვინც ცვლილებებს იღებს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ლუკა გოცირიძე - ბევრი ბათუმელი სიყვარულით გაიხსენებს კრეატიულ, თვითმყოფად ახალგაზრდას, ჯერ კიდევ მოსწავლეობისას რომ გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით და მიზანდასახულობით. ამჟამად ლუკა საზღვარგარეთ, ფლორიდაში იმყოფება. საკუთარ თავს მთხრობელს, აქტივისტს და მკლევარს უწოდებს, ნიუ-იორკის შტატში Bard College-ს ადამიანის უფლებებისა და ხელოვნების მაგისტრია. ამ სტატუსს მისი საქმიანობა ამყარებს - მუშაობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ბულგარეთში, ავსტრიასა და უნგრეთში ციფრული მედიით თხრობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

ტექნოლოგიური განვითარება საზოგადოების განვითარების წინაპირობად მიაჩნია. დღეს იგი ამ და სხვა საკითხებზე საინტერესოდ გვესაუბრება.

- ქალაქი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, რით გამოირჩევა?

- ამჟამად მაიამიში/ფლორიდაში ვიმყოფები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილია ამერიკაში - ტენიანი ჰავა, ტროპიკული გარემო, რა თქმა უნდა, თავისებურად აქ მცხოვრებ ადამიანებზეც აისახება. ვფიქრობ, ხალხი აქ უფრო მშვიდია, ვიდრე ნიუ-იორკში, მაგალითად. აქაურ მცხოვრებთა უმეტესობა ემიგრანტებია - ან ემიგრანტთა შთამომავლები სამხრეთ ამერიკიდან, რაც ამ ადგილს უფრო საინტერესოს ხდის პირადად ჩემთვის.

- საზღვარგარეთ ცხოვრებამ ნოსტალგია ხომ არ გაგიჩინათ სამშობლოს მიმართ, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი თქვენს მიღწევებში რამ ითამაშა?

- ნოსტალგია, ჯერჯერობით, დიდად არ გამომჟღავნებულა ჩემში. რა თქმა უნდა, მაქვს ნოსტალგიური სენტიმენტები... თუმცა არა ისეთი დოზით, რომ ბარგი ჩავალაგო და უკან წამოვიდე. ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ჩემს მიღწევებში გარემო ფაქტორებმა, ამ ფაქტორების ჩემეულმა აღქმამ და ჩემ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა ითამაშეს.

- თქვენი მაქაური ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბები გაგვაცანით, სწავლასა და შრომით საქმიანობას რომ ეხება...

- ამჟამად ნიუ-იორკის შტატში, Bard College-ში, ადამიანის უფლებებისა და ხელოვნების მაგისტრი ვარ. აქ წამოსვლამდე ვცხოვრობდი, ვსწავლობდი და ვმუშაობდი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ბულგარეთში, ავსტრიასა და უნგრეთში, ციფრული მედიით თხრობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, თუმცა ახლა ვცდილობ ეს ორი სფერო - ხელოვნება და ადამიანის უფლებები - ერთმანეთს დავაკავშირო, რადგან მჯერა საზოგადოებაზე ხელოვნების ტრანსფორმაციული ეფექტის მოხდენისა. ჩემი საქმიანობა ადრე ვიდეოგრაფიას, ფოტოგრაფიას და აუდიო თხრობით ფორმებს მოიცავდა, თუმცა აქ ჩამოსვლის შემდეგ, ძალიან დამაინტერესა აუდიტორიის როლმა ხელოვნებაში. არასდროს მომწონდა აუდიტორიისთვის მხოლოდ მაყურებლის, პასიური როლი - მუზეუმებში, კონცერტებზე, გალერეებში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც ხელოვნების ნიმუში არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით, თუკი ხელოვნების ტრანსფორმაციულ ეფექტზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რა ინტერაქცია აქვს უშუალოდ აუდიტორიას ამა თუ იმ ხელოვნების ნიმუშთან. სამწუხაროა ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში, ხელოვანები არ ფიქრობენ მათ აუდიტორიაზე და შესაბამისად, ხელოვანის მესიჯი იკარგება. ჩემი ბოლო ორი ნამუშევარი სწორედ აუდიტორიაზე და მათ ჩართულობაზე იყო გათვლილი.

პირველი ნამუშევარი, Inner Rave, რომელიც 2022 წლის დეკემბერში გაიმართა, წარმოადგენდა ჩუმ დისკოს, რომელიც აუდიტორიამ მოისმინა და იცეკვა მუსიკაზე, რომელიც ჰომოფობიის ფსიქოლოგიურ გავლენაზე შეიქმნა. ეს მუსიკა ჩემს ძმასთან, ზურა გოცირიძესთან (ჯგუფ „ბაბილონის“ დამაარსებელი) თანამშრომლობით შეიქმნა. მუსიკას თან ახლდა თხრობითი ნაწილი, რომელმაც ის ჰომოფობიის თემას დააკავშირა და აუდიტორიას კონტექსტი მისცა. ეს ინტერაქციული ნამუშევარი ნიუ-იორკის შტატში, Fisher Center for Performing Arts-ში წარმოვადგინე, მეორე ნამუშევარი ამ წლის მაისში Baby Luka Has Finally Realized სახელწოდებით. ამავე კოლეჯის ქართველი სტუდენტების, ჩემი მეგობრების და ამავე კოლეჯის ქართული პოლიფონიური გუნდის დახმარებით ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთი სოფლის სასტუმროს მისაღებ ოთახში გავაკეთე. გავშალეთ ქართული სუფრა, გვქონდა ქართული პოლიფონიური მუსიკა, თუმცა სადღეგრძელოების ჩვეული ტრადიცია შევცვალე და ვისაუბრე სუფრის, როგორც რუსეთის იმპერიის გავლენის საწინააღმდეგო ინსტრუმენტის მნიშვნელობაზე; თუმცა, ასევე, ვისაუბრე იმაზე, როგორ მიიღო სუფრამ ავტორიტარული ფორმა, განსაკუთრებით ქალებისთვის ქართულ ოჯახებში.

- როგორც შევიტყვე, ფოტოგრაფიაც გიტაცებთ... ვინ და რა ექცევა თქვენი ობიექტივის არეალში და რა არის ამ დროს არჩევანის საფუძველი?

- ჩემს ობიექტივში ვცდილობ, რომ მოექცეს ის, რაც არამეინსტრიმულია. უფრო ადამიანებზე ფოკუსირებული კადრები ხვდება ჩემს ობიექტივში - ადამიანები და გარემო.

- გაგვაცანით ის ქართველები, ვინც ნიუ-იორკის ცის ქვეშ საშშობლოს წარმოაჩენენ თავიანთი საქმიანობით, ვისაც თავად იცნობთ და გეიმედებათ ქვეყნისათვის?

- როდესაც საქართველოში უცხოელი აგენტების კანონის მიღება-არ მიღების საკითხი დადგა, რამდენიმე ქართველმა ბარდის კოლეჯიდან წამოვიწყეთ ვიდეოკამპანია, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების ხმა სამშობლომდე მოგვეწვდინა. ჩემდა გასაკვირად, უამრავი ახალგაზრდა გამოგვეხმაურა და გადმოგვიგზავნა მხარდასაჭერი ვიდეოები. საოცარი ადამიანები არიან ქვეყნის ფარგლებს მიღმა, იმ აზროვნებით, რომელიც საქართველოს სჭირდება, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ეს აზროვნება, ენთუზიაზმი და ღირებულებათა სისტემა, ჯერჯერობით, მეინსტრიმული ვერ გახდება, ოდესღაც იქნება, თუმცა არა ახლა.

- სამომავლოდ რას აპირებთ, რეალობა და პერსპექტივა...

- ძალიან მინდა სერიოზულად მივყო ხელი კვლევაზე დაფუძნებულ, აუდიტორიასთან ინტერაქციული ხელოვნების შექმნას. თუმცა ქართული პოლიტიკის არ იყოს, ხელოვნების ჭიშკარში შეღწევის რიგი ძალიან დიდია და შერჩევადი; ხშირ შემთხვევაში, არასამართლიანად შერჩევადი.

- ჩვენებურ და ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემებს როცა ადარებთ, რა დასკვნა გამოგაქვთ? რა არის ის, რის დანერგვაც აუცილებელია ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში?

- არ ვიცი, რა სიტუაციაა საგანმანათლებლო კუთხით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რადგან სამშობლოში არ დამიმთავრებია უნივერსიტეტი, შესაბამისად, ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ ერთის გარდა - ვიცი ის, რომ ადამიანის უფლებების შესახებ ძალიან მწირი სწავლებაა ქართულ უნივერსიტეტებში, რომელიც, ძირითადად, ეფუძნება ადამიანის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების სწავლებას, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე - ლიმიტირებული. არ არსებობს ადამიანის უფლებების პოლიტიკური თეორიის სწავლება, რის გამოც ადამიანის უფლებების აღქმა იზღუდება და მხოლოდ კანონის კუთხით მიიაზრება და კანონი იგივე ხელისუფლების განშტოებაა. უნდა იყოს საშუალება, რომ ადამიანებმა იფიქრონ, შეისწავლონ და გააანალიზონ, როგორ შეიძლება ადამიანის უფლებების არეალის გაზრდა. რაც შეეხება სკოლას, აქ უამრავი რამ მახსენდება. დროის უაზროდ კარგვა მგონია ლექსების დაზუთხვის პრაქტიკა. ასევე, ვთვლი, რომ რაღაც ეტაპზე, ალბათ მე-8 - მე-9 კლასში, როცა მოსწავლემ იცის, რა საგნები აინტერესებს და რა არა, უნდა დაიყოს მოსწავლეები კლასტერებად და შეისწავლონ ის საგნები, რომლებიც აინტერესებთ. ვფიქრობ, უაზროდ იხარჯება სკოლაში გატარებული დრო. დროში, ჩემი აზრით, აუცილებელია სექსუალური განათლების შემოღება, ფინანსური განათლება და ასე შემდეგ, თუკი გვინდა, რომ რეალობას თვალი გავუსწოროთ და რაღაც სტანდარტული გამოცდების ჩასაბარებლად კი არ დადიოდნენ მოსწავლეები სკოლაში, არამედ პრაქტიკული და გამოყენებადი უნარ-ჩვევების და ცოდნის შესწავლაში ხარჯავდნენ დროს. ძალიან აცდენილი ვართ რეალობას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ უაზრობები არ ისწავლება.

- როგორ ექცევიან ამერიკაში ბუნებას, როგორ გამოიყურება კერძო თუ საზოგადოებრივი ადგილები?

- ბუნებრივია, არ არსებობს ჰომოგენური საზოგადოება, რომელიც ან ძალიან კარგად ექცევა ბუნებას ან ძალიან ცუდად. ყველგან, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, არიან ადამიანები თავიანთი მორალით ბუნების მიმართ. ამ ბოლო დროს, პირადად მე, ძალიან დიდ კავშირს ვგრძნობ ბუნებასთან, ცხოველებთან და ვცდილობ, ეს ინტერაქცია ბუნებასთან გავაუმჯობესო.

- თავისუფალი ადამიანი - ამის უპირობო განცდის საფუძველს რა ქმნის?

- ადამიანის თავისუფლების შემზღუდველი, უმეტეს შემთხვევაში, ისევ ადამიანები არიან, განსაკუთრებით სავალალოა მდგომარეობა, როდესაც ხელისუფლება უწყობს ხელს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას - ამას ვხედავთ დღეს საქართველოში. მაგალითად, ლგბტ თემის მიმართ გამოხატული ქმედებები ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას გასცდა - ეს არის აგრესია, რომელიც დამღუპველია ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის.

- ციფრული ეპოქის რეალობა და მის შესაბამისად გადაწყობა არცთუ ადვილია, თქვენ რას გვირჩევდით?

- მე ციფრული ეპოქის მომძლავრების და განვითარების ეპოქის დასაწყისში დავიბადე, შესაბამისად, ჩემთვის ეს ძალიან ორგანული რამ არის. ტექნოლოგიური განვითარება საზოგადოების განვითარების წინაპირობად მიმაჩნია, გააჩნია ვინ როგორ იყენებს და აღიქვამს ამ პროცესს. მთავარია, მივიღოთ ცვლილებები და არ გავუუცხოვდეთ მას.

- დრო აჩქარდაო... დრო და თქვენ... დროს როგორ უწყობთ ფეხს?

- პროგრესულმა და ლიბერალურმა იდეებმა წინა პლანზე წამოიწია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. შეიცვალა წარმოდგენები, მათ შორის, ადამიანის უფლებების მიმართულებით - ის, რაც ადრე ტაბუდადებულად ან უცხო მოვლენად მიგვაჩნდა, ახლა ნელ-ნელა მისაღები ხდება. ადამიანები ერთმანეთს ვიღებთ ისეთებად, როგორებიც არიან, ვზრუნავთ გარემოზე და სხვა ცოცხალ არსებებზე, დავიწყეთ საუბარი მენტალურ ჯანმრთელობაზე. ბევრი რამის გადაფასება ხდება, რაღაცების - თავიდან შესწავლა, ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად შემოვიდა ჩვენს რუტინაში და ადგილს იმკვიდრებს. დროს ის უწყობს ფეხს, ვინც ცვლილებებს იღებს და არ ეწინააღმდეგება მას. არ უნდა გვეშინოდეს ცვლილებების, კომფორტის ზონიდან გამოსვლა არ უნდა იყოს საშიში, ის უნდა მივიღოთ, რადგან ცვლილება არის საკუთარი თავის და საზოგადოების განვითარების წინაპირობა.

- უცხოპლანეტელი რომ იყოთ და ამ პლანეტაზე მოფრინდეთ, აქაურობის ხილვისას რას იტყოდით?

- ვიტყოდი, რომ ადამიანები საოცარი და სილამაზის მოყვარული არსებები არიან - უზარმაზარი ნიჭით და ფანტაზიით, თუმცა ასევე, უზარმაზარი სიძულვილის მატარებლები, რაც შინაგან მე-სთან დაუკავშირებლობით არის გამოწვეული.

- თქვენი სულის საკვები და მუდმივი წყარო...

- ჩემი სულის საკვები არის ადამიანებთან საუბარი და მათი ამბების მოსმენა.

- დაუსვით საკუთარ თავს სასურველი შეკითხვა და უპასუხეთ...

- ჭამა თუ სექსი? - ჭამა.

- როგორ დაგვემშვიდობებით, რას ეტყვით ჩვენს მკითხველებს?

- გავაკეთოთ ის, რაც გვაშინებს; ის, რაც გულის სიღრმეში გვინდა; ის, რაც შეიძლება საზოგადოებისთვის მიუღებელი იყოს; ვიყოთ საკუთარი თავი და არ ვითამაშოთ იმის როლი, რომელიც სხვას უნდა, რომ ჩვენში დაინახოს.

> *„ ვფიქრობ, უაზროდ იხარჯება სკოლაში გატარებული დრო. დროში, ჩემი აზრით, აუცილებელია სექსუალური განათლების შემოღება, ფინანსური განათლება და ასე შემდეგ, თუკი გვინდა, რომ რეალობას თვალი გავუსწოროთ და რაღაც სტანდარტული გამოცდების ჩასაბარებლად კი არ დადიოდნენ მოსწავლეები სკოლაში, არამედ პრაქტიკული და გამოყენებადი უნარ-ჩვევების და ცოდნის შესწავლაში ხარჯავდნენ დროს*

ეროვნული ბანკის ინფორმაციით...

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნათია თურნავა ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელს სამხრეთ კავკასიაში მაჩიე ჩურას შეხვდა.

ნათია თურნავამ ისაუბრა მონეტარულ პოლიტიკასა და მიმდინარე მაკროეკონომიკურ ტენდენციებზე, ასევე, EIB-ის რეგიონულ წარმომადგენელს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული რეფორმები გააცნო.

ნათია თურნავამ მადლობა გადაუხადა ევროპის საინვესტიციო ბანკს გაწეული დახმარებისთვის და აღნიშნა მასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა.

„საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას. სწორედ EIB-ის ფინანსური მხარდაჭერით, ეროვნული ბანკი კლიმატის სცენარების ანალიზის ჩარჩოს შეიმუშავებს. პროექტი ითვალისწინებს საქართველოსთვის კლიმატის სცენარების შემუშავებას, ამ სცენარების პირობებში კომერციული ბანკების მოწყვლადობის შეფასებასა და კლიმატის სტრეს-ტესტირების ჩატარებას. პროექტი გასულ წელს დაიწყო და პირველ შედეგებს მიმდინარე წლის ბოლომდე ველოდებით. EIB-თან თანამშრომლობის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ პროექტს და საქართველოს ფინანსური სისტემის „გამწვანების“ მიმართულებით თანამშრომლობის სხვა საკითხებს მოიცავს. იმედი მაქვს, რომ EIB-თან მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“, - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა.

ამირან გურიელიძე

«ჩუდურაულობა» - 3-წლიანი «იძულებითი შესვენების» შემდეგ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მესხეთის ქედის კალთებზე არსებულ პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე: შავნაბადაზე, ნასოფლარზე, გორაზე, ნათელათში, ჩიბუქნარსა და ქვაბიჯვარში ღორჯომის ხეობის 10-მდე სოფლის მეცხოველე ფერმერები ატარებენ ზაფხულს. მათთან ერთად არიან ადიგენის მუნიციპალიტეტის იმ სოფლების წარმომადგენლები, რომლებმაც წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან იქ ახალი საცხოვრისი მოიწყვეს, მაგრამ მემთეურობის ტრადიციას არ ღალატობენ

2000 წლის ზაფხულში ღორჯომის თემის მაშინდელ ხელმძღვანელ თამაზ ირემაძის, მეკეიძეებელ იოსებ ვანაძისა (მაშინ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი) და ცნობილი სახელმწიფო მოხელის ბახვა მიქელაძის ინიციატივით, «ჩუდურაულობის» სახალხო დღესასწაულს დაედო სათავე. თუნდაც ღორჯომის ხეობასა და სხვაგან, მრავალი წამოწყება ახსოვთ, რომელმაც დროს ვერ გაუძლო და საზოგადოებამ მალე მიივიწყა. ხულოს მუნიციპალიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობის, ღორჯომის ხეობაში მერის წარმომადგენლის, მასწავლებელთა 2022 წლის «ეროვნული ჯილდოს» მფლობელის როლანდ შავაძის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მცხოვრები მჟავანაძეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 3-წლიანი «იძულებითი შესვენების» შემდეგ, სახალხო დღესასწაული ისევ აღადგინეს.



- ეს ტერიტორია, მისი მკაცრი ბუნება ჩემს ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. 7 წლის ბავშვი ვიყავი, როცა მშობლებს მთაში გამოვყევი. მაშინ არც საავტომობილო გზა იყო და მთის სახლებიც აქა-იქ ჩანდა. ის დროც კარგად მახსოვს, როცა ბათუმელი არქეოლოგები ნასოფლარისა და ნადოლაბევის ტერიტორიებზე გათხრებისას იშვიათ ნიმუშებს წააწყდნენ. ყველა «ჩუდურაულობის» მონაწილე ვარ, - გვითხრა 83 წლის იოსებ მიქელაძემ, - ოჯახი საცხოვრებლად ბათუმში გადავედით. სოფელ მეკეიძეებში საცხოვრისი არ მოგვიშლია, მთის სახლსაც არ ვავერანებთ. ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია, შესაძლოა, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს მასწავლებელთა «ეროვნული ჯილდოს» მფლობელმა როლანდ შავაძემ და სხვებმა.

- ამ მთებში დასაქმებული ადამიანები ყველასგან ზრუნვას და პატივისცემას იმსახურებენ. მათთვის გამოსასვლელი დღე არ არსებობს. რთულ კლიმატურ პირობებში მინდობილ საქმეს არ ღალატობენ. მაქსიმუმს ვაკეთებ, რომ «შუამთობის» დღესასწაულის კვირეულში მთებში მივიდეთ, აქაურების მსგავსად, კურორტების ბახმაროს, ბეშუმის, გოდერძის მიმდებარე ტერიტორიებსა და ხიხანის ციხის მიმდებარე მთებში მყოფ მემთეურებს მოვეფეროთ. ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და «შუამთობის» კვირეულის დაწყებას ვილოცავთ, - თქვა ვახტანგ ბერიძემ.

ცეკვა-სიმღერა, ხალხური თამაშები, სპორტული ასპარეზობები და დოღი ალამაზებს «ჩუდურაულობას».

- ღორჯომის ხეობის ეთნოგრაფიასა და ხალხურ ტრადიციებზე კლიპს ვიღებთ. აქ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გამორჩეული იყო ცხენებით ჯირითი, - აზარტული, საინტერესო და მიმზიდველი, - გვითხრეს არასამთავრობო ორგანიზაცია «მწვანე სექტორის» მენეჯერებმა ციალა ქათამიძემ და ილია გუჩმანიძემ.

2-კილომეტრიან დისტანციაზე 10-მდე მხედარი დადგა. ამ და დანარჩენ დისტანციებზე ყველას ღორჯომელმა მურად გორგაძემ აჯობა. ხულოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას საპრიზო ადგილებზე გასული მხედრებისთვის 200-150-100-ლარიანი ფულადი ჯილდო ჰქონდა დაწესებული. 2-კილომეტრიან დისტანციაზე მეორე და მესამე ადგილებზე მეკეიძეებელი ბექა შარაშიძე და ადიგენელი ემზარ ვაშაყმაძე გავიდნენ, 4-კილომეტრიანზე - ქურდულელი გია ბერიძე, პანტნარელი მინდია ლომიძე, ხოლო 6-კილომეტრიანზე - ქურდულელი ავთანდილ ძირკვაძე და ადიგენელი კარენ დანელიანი. ფულად ჯილდოებთან ერთად, გამარჯვებულ მხედრებს თასები და მედლები ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გადასცეს.

30-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო 2-კილომეტრიან მარათონში. სპორტის ამ სახეობაში საპრიზო ადგილები მეკეიძეებელმა დავით ბერიძემ, მამული მიქელაძემ და ღორჯომელმა მერაბ გორგაძემ დაიკავეს. მათაც ფულადი ჯილდო, თასები და მედლები დაიმსახურეს.

სამი თაობის ადამიანები მონაწილეობდნენ ბაგირის გადაწევაში. 10-მდე გუნდი იყო ჩართული პაექრობაში. ფინალში ერთმანეთს მეკეიძეებისა და სტეფანაშვილების გუნდები დაუპირისპირდნენ. მეკეიძეების გუნდი პირველი იყო.

- ბავშვობიდანვე სპორტით ვიყავი გატაცებული. მარათონსა და ჯირითში ჩართვა ასაკის გამო ვეღარ შევძელი, მაგრამ ბაგირის გადაწევაში ცდუნებას ვერ ვძლიე, - გვითხრა ღორჯომელმა თამაზ მესხიძემ.

დღესასწაულს გამორჩეულად ხალხური სიმღერები და ცეკვები ალამაზებს. ღორჯომის სასოფლო კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებმა ხასხასა მდელოზე ჯერ «ხორუმი» ჩამოუარეს, შემდეგ «განდაგანაც» შეასრულეს.

«ჩუდურაულობის» ყველა მონაწილეს დაამახსოვრდება მეკეიძეების საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის თიკა ვანაძის მიერ შესრულებული სიმღერები. მისმა თანატოლებმა ზეიმის მონაწილეებს მიმზიდველი შოუ შესთავაზეს.

- თიკა ასეთი აუდიტორიის წინაშე პირველად წარსდგა. მას ხელოვნება გამორჩეულად უყვარს. ჩვენი ვალია, მის ოცნებებს ფრთები შევასხათ, გოგონას ვუპატრონოთ, - გვითხრა ხულოს რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ მიქელაძემ.

ღორჯომის ხეობის მკვიდრნი შრომისმოყვარეობით გამორჩეული არიან. ასეთებად დარჩნენ იმ რეგიონებში, სადაც 30-35 წლის წინათ დამკვიდრდნენ. გურიაში - ლაითური, ნასაკირალი, ნარუჯა, სამცხე-ჯავახეთში - ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, თრიალეთის ზეგანზე - წალკა ის ტერიტორიებია, სადაც ხეობიდან გადასულებმა ახალი ცხოვრება შესაშურად მოიწყვეს. ნინოწმინდის სოფელ სპასოვკაში «ერთობის» («ღორჯომობის») სახალხო დღესასწაული წამოიწყეს, თუმცა ასაკოვანი ადამიანები მშობლიურს მაინც ვერ ივიწყებენ, ხალხურ დღესასწაულებზე, სხვა ღონისძიებებზე ხეობაში ჩამოდიან, ბავშვობისდროინდელ ადგილებს მოინახულებენ. ისინი ყოველთვის ცდილობენ, პირადი წილი გაიღონ აქაურთა დასახმარებლად და გასახარებლად. ამჯერადაც ასე იყო, წლევანდელ «ჩუდურაულობაზე» ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მცხოვრები მჟავანაძეების გვარის სახელით ლევანმა გამარჯვებულ მხედარს 500 ლარი გადასცა, შემდეგ კი მონაწილეებს საკუთარი ლექსით მიესალმა.

მეკეიძეების საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი როლანდ შავაძე მასწავლებელთა 2022 წლის «ეროვნული ჯილდოს» მფლობელი რომ გახდა, ამით ღორჯომელები სამართლიანად ამაყობენ. «ჩუდურაულობაზე» ისიც არ მოსულა ხელცარიელი - მურად გორგაძეს ფულადი ჯილდო და სამახსოვრო თასი გადასცა.

კულტურული და სპორტული ღონისძიებები დღის ბოლომდე გაგრძელდა. სტუდენტი ჯემალ მეკეიძე დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიჰყვა და ფრენბურთში გამარჯვებული მეკეიძეების გუნდის კაპიტანს თასი და სხვა ჯილდოები გადასცა.

ჩუდურაულში ზაფხულის ცხელი დღე მიილია. მემთეურები სამუშაოს დაუბრუნდნენ. «შუამთობა» ჩუდურაულიდან დაიწყო. 5 და 6 აგვისტოს მას ბახმაროს, ბეშუმის, გომის მთის მიმდებარე ტერიტორიები უმასპინძლებენ, დასკვნითი ღონისძიება კი ზოტიყელში გაიმართება.

უკრაინა

ნატო-უკრაინის საბჭომ შავ ზღვაში არსებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული ვითარება განიხილა, - ამის შესახებ ნატოს ვებგვერდზეა აღნიშნული. ალიანსის ცნობით, საბჭომ მკაცრად დაგმო შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივიდან გამოსვლის შესახებ რუსეთის გადაწყვეტილება და მისი მიზანმიმართული მცდელობები, შეაჩეროს უკრაინის სოფლის მეურნეობის ექსპორტი, რომელზეც ასობით მილიონი ადამიანია დამოკიდებული მთელ მსოფლიოში. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუსეთი შიმშილის იარაღად გამოყენებაში დაადანაშაულა. „რუსეთმა უნდა შეწყვიტოს შიმშილის იარაღად გამოყენება. რუსეთის ქმედებები მნიშვნელოვან რისკებს უქმნის შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობას, რომელსაც ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მოკავშირეები აძლიერებენ უკრაინის მხარდაჭერას და ზრდიან ჩვენს სიფხიზლეს. მზად ვართ, დავიცვათ მოკავშირეთა ტერიტორიის ყოველი ინჩი ყოველგვარი აგრესიისგან“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა. მისი თქმით, ნატოს მოკავშირეები მიესალმნენ ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევას, გაგრძელონ უკრაინული მარცვლეულის ექსპორტი სახმელეთო და საზღვაო გზით. საბჭომ ასევე დაგმო რუსეთის ბოლოდროინდელი სარაკეტო თავდასხმები უკრაინის საპორტო ქალაქებზე და აღნიშნა, რომ რუსეთმა შექმნა „არასწორი გაანგარიშებისა და ესკალაციის ახალი რისკები, ასევე, სერიოზული დაბრკოლებები ნაოსნობის თავისუფლებისთვის“.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც უკრაინელი სამხედროები აცხადებენ, რომ დონეცკის ოლქის სოფელი სტარომაიორსკე რუსი ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს. „ჩვენი სამხრეთი! ჩვენი ბიჭები! დიდება უკრაინას!“ - წერს ზელენსკი „ტელეგრამ“ არხზე. ვიდეოში 35-ე ბრიგადის მებრძოლები აცხადებენ, რომ მათ სოფელი სტარომაიორსკე „არეის“ ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონთან ერთად გაათავისუფლეს. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა მალიარმა ასევე გაავრცელა ინფორმაცია სტარომაიორსკეს დეოკუპაციის შესახებ. „დონეცკის ოლქის სტარომაიორსკე გაათავისუფლეს. ახლა ჩვენი დამცველები აგრძელებენ დასახლების გაწმენდას“, - წერს ანა მალიარი „ტელეგრამ“ არხზე.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთის სარაკეტო დარტყმის შედეგად დაზიანებულ ოდესის ფერისცვალების ტაძარს ეწვია და განაცხადა, რომ უკრაინას საჰაერო თავდაცვის სისტემები სჭირდება. „აქ, ფერისცვალების ტაძარში, რომლის დანგრევაც რუსეთმა სცადა, იგრძნობა, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი სული უფრო ძლიერია, ვიდრე რუსული ტერორი. ჩვენ ვეძებთ საჰაერო თავდაცვის სისტემებს, რათა დავიცვათ ოდესა, მთელი ჩვენი სამხრეთი. მადლობას ვუხდი მსოფლიოში ყველას, ვინც უკვე შეუერთდა ამ საქმეს“, - აღნიშნა ზელენსკიმ. შეგახსენებთ: ოდესის ფერისცვალების ტაძარი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია, რადენიმე დღის წინ რუსული სარაკეტო თავდასხმის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა განახლებული კონტრიერიშის დაწყების შემდეგ, სავარაუდოდ, ზაპორიჟიაში რუსეთის თავდაცვის ძირითად ხაზებს მიაღწია. ამაზე მეტყველებს ბრძოლის ველზე გადაღებული და ვერიფიცირებული ვიდეოები. ერთ-ერთ გავრცელებულ ვიდეოზე ჩანს „დრაკონის კბილების ფონზე ანტისატანკო თხრილში გაჭედილი უკრაინული ტანკი. კადრების გეოლოკაციის მეშვეობით, ვიდეო გადაღებულია სოფელ ვერბოვეესთან, რომელიც, თავის მხრივ, სოფელ რობოტინეს აღმოსავლეთით მდებარეობს. სწორედ რობოტინეს ირგვლივ ვითარდება ყველაზე სერიოზული ბრძოლები ბოლო დღეებში. ზოგი OSINT ანალიტიკოსი ამ კადრებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ უკრაინის არმიამ ზაპორიჟიაში ოკუპანტების თავდაცვის ძირითად ხაზებს მიაღწია. ზოგი წყაროს ცნობით, ეს ჯერ კიდევ არ არის თავდაცვის მთავარი ხაზი, თუმცა იქამდე მცირე მანძილია. გავრცელებულ კადრებზე ჩანან, ასევე, ტყის მასივში განლაგებული უკრაინელი სამხედროებიც. კადრები შეაფასა სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის სამხედრო ექსპერტმა რობ ლიმ. მისი თქმით, ამგვარი თხრილები, როგორც წესი, თავდაცვის ძირითადი ხაზის სიახლოვეს ან გამაგრებული საყრდენი პუნქტის ირგვლივაა განთავსებული. „ვიდეო შესაძლოა ზაპორიჟიაში უკრაინის შეიარაღებული ძალების არსებით წინსვლაზე მეტყველებდეს“, - წერს რობ ლი.

* * *

უკრაინამ მტრის სუსტი წერტილი იპოვა და სამხრეთში დიდი კონტრშეტევა დაიწყო, - ამის შესახებ ამერიკული გამოცემა CNN-ი ორ ამერიკელ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით წერს. ერთი-ერთი მაღალჩინოსნის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული ხელმძღვანელობა ძალების ნაწილს ჯერ კიდევ რეზერვში ტოვებს, კონტრშეტევისთვის გამოყოფილი ძალების „ძირითადი ნაწილი“ უკვე საქმეშია ჩართული. „სიჯიუტემ გარკვეული შედეგები მოიტანა. კონტრშეტევის მსვლელობისას სამხრეთ-აღმოსავლეთში რუსული თავდაცვითი ბარიერების გარკვეული ელემენტები გაიარღვა და სარეზერვო შენაერთები მივიდნენ, რათა ამ შესაძლებლობით ისარგებლონ“, - განაცხადა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა CNN-თან.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ეს ისტორიები არ უნდა დაკარგულიყო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში მრავლად მისული მაყურებელი უჩვეულო სპექტაკლის მოწმე გახდა. იდეის ავტორმა, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ ანსამბლ „სუხიშვილებთან“, მაესტრო ნიკა ნიკვაშვილთან, მომღერალ სოფო ხალვაშთან, რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილთან, მსახიობებთან ერთად ქართული თეატრის ცნობილი, მეტწილად კი უცნობი, საკმაოდ ემოციური ისტორიები გაგვიცოცხლა

ეს იყო იმ ბრწყინვალე ადამიანების გახსენება, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ხელოვნებისა და კულტურის, კერძოდ, ქართული თეატრის დაარსებასა და განვითარებაში. ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ეს იყო ქრონოლოგიურად, შთამბეჭდავად მოთხრობილი ამბები ქართული თეატრის სათავეებიდან დაწყებული - თანამედროვეობამდე, თუ როგორ გაიარა ჩვენმა თეატრმა ეს გზა.

თხრობა ერეკლე მეფის კარის თეატრიდან დაიწყეს, ითქვა, თუ როგორ ამოწყდა მთელი სამეფო დასი კრწანისის ომში და რომ ამ დასის შესახებ ნახსენებია ლადო ასათიანის ლექსში: „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“...

ისეთი ამბები მოვისმინეთ, რომლებსაც ვერასოდეს გავიგებდით, რადგან მათ წიგნებში ვერ ამოვიკითხავთ... ეკრანზე კი ვიხილეთ შესანიშნავ ქალ ვარსკვლავთა სამეული - ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, რომლებმაც საკუთარი კოლეგები განასახიერეს, ისინი, რომლებიც სპექტაკლში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მონაწილეობდნენ და აცოცხლებდნენ იმ პიესას, რომელიც კრწანისის ბრძოლიდან დაახლოებით 20 წელიწადშია დაწერილი და რომელიც მკვეთრად პორნოგრაფიული სახისაა... აღნიშნულმა მსახიობებმა ის პირველი პორნოგრაფიული სცენა წარმოადგინეს, რომლისთვისაც თავის დროზე საზოგადოებამ მკაცრად გააკრიტიკა რეჟისორი. არ ვიცოდით და საღამოზე გავიგეთ, რომ ილია ჭავჭავაძეს ინგლისური ენა იმიტომ შეუსწავლია, რომ მაჩაბელთან ერთად შექსპირი ეთარგმნა, გავიგეთ, როგორ ითამაშა მან მეფე ლირის როლი. არც ის ვიცოდით, აკაკი წერეთელი თეატრიდან რომ გაუგდიათ, რისთვისაც ქართული თეატრი დაუწყევლია, არც ის, როგორ ერთვებოდნენ სუხიშვილები ქართულ თეატრალურ რეალობაში და როგორ იქმნებოდა ქართული ხასიათი სანდრო ახმეტელის გენიალური წერილის „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ მიხედვით.

სპექტაკლმა გვიამბო არაერთი ინტრიგული, სასიყვარულო თუ ტრაგიკული ისტორია, რომლებმაც ქართული თეატრი სხვაგვარად წარმოგვიჩინა. მოვისმინეთ, რას და როგორ წერდნენ კრიტიკოსები მაშინდელი ექსპერიმენტული დადგმების შესახებ თავიანთ რეცენზიებში. მოსათხრობი მართლაც ათეულობით ისტორიაა და ისინი ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ისე გაგვიცოცხლა ნიკოლოზ წულუკიძემ, რომ არავინ დაღლილა, პირიქით, ვფიქრობ, კიდევ რომ ყოფილიყო, ასევე გულდასმით მოუსმენდა და ისიამოვნებდა მაყურებელი, რომელსაც ზოგჯერ ტრაგიკულ ისტორიაზე გული უჩუყდებოდა, სახალისოზე კი გულიანად იცინოდა. ეს ყველაფერი ერთ საღამოზე, ერთ სპექტაკლში ვიხილეთ თავისი ქორეოგრაფიით, მუსიკით, იმ პერიოდის სასცენო კოსტიუმებით, ძალიან საინტერესოდ და ადვილად აღსაქმელად.

არაჩვეულებრივად ჩაერთნენ სპექტაკლში როგორც სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავეები, ისე მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი, მომღერალი სოფო ხალვაში...

ჩვენთვის - ბათუმელებისა და, განსაკუთრებით, არათეატრალებისთვის ძალიან საინტერესო იყო ის მონაკვეთიც, სადაც გვიამბეს, როგორ იქმნებოდა და ყალიბდებოდა ჩვენი ქალაქი, როგორი უმცირესობით იყვნენ ჩართული მასში ქართველები, რა როლი ითამაშა ქალაქის ისტორიაში დავით კლდიაშვილმა...

თითოეული ეპიზოდი მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდეს პუბლიკას, რომლისთვისაც ამ სპექტაკლის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ბათუმის ხელოვნების ცენტრის სცენაზე იდგნენ დღევანდელი თეატრმცოდნეები და კრიტიკოსები და თავის წინამორბედ კრიტიკოსთა ტექსტებს კითხულობდნენ. როგორც ჩანს, ისინი თავის დროზე კრიტიკას არ იშურებდნენ მაშინდელი რეჟისორებისთვის, ექსპერიმენტული სპექტაკლის ბრწყინვალე მსახიობთა მიმართ. მათი მოსმენისას დარბაზში მსხდომთ ეღიმებოდათ, თუმცა შესაძლოა, ამ ტექსტების ავტორებსაც ახლა ისევე გაღიმებოდათ, როგორც ჩვენ.

- ძალიან საინტერესო იყო და ნასიამოვნები დავრჩი, ინფორმაციულადაც ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც არ ვიცოდი, არადა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და საუკეთესო სანახაობაც გამოვიდა. მადლობა ნიკას ამისთვის, - გვითხრა ბათუმელმა ნინო სურმანიძემ.

- ეს არის პირველი მცდელობა ქართული თეატრის ისტორიაში, გავაცოცხლოთ ამბავი ქართულ თეატრზე, ისტორიები მის შესახებ, რომელიც მხოლოდ ზეპირგადმოცემით იცი-ან, როგორც ფოლკლორი, ისე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და მის შესახებ მხოლოდ ვიწრო პროფესიულმა წრემ იცოდა. ნიკას სურვილი და იდეა იყო, რომ ეს ამბები, რომლებიც „მართლა საგმირონია“ და როგორც ტრაგიზმს, ისე გამარჯვებას და სიხარულსაც შეიცავს, მოეყოლა ფართო საზოგადოებისთვის და საოცარი რამ მოხდა. რუსთაველის თეატრში განსაზღვრული იყო ერთი წარმოდგენა, მაგრამ მაყურებლის ინტერესი იმდენად დიდი გამოდგა, რომ იძულებული გავხდით, დაგვეწყო მოგზაურობა, - გვითხრა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა, რომელიც სპექტაკლში ერთ-ერთ კრიტიკოსს განასახიერებს.

- ყველა ჯერზე ამტკიცებ, რა შეგიძლია, გამოცდას აბარებ... და მიხარია, რომ დღეს ბათუმელმა მაყურებელმა ასე თბილად მიგვიღო, საოცარი სიყვარული ვიგრძენით.... ძალა კი მაქვს გამოცლილი, მაგრამ მთვრალი ვარ ამ ემოციით, სიყვარულით, რომელიც ვიგრძენით და მინდა გადავსებულ დარბაზს, თითოეულ მაყურებელს მადლობა ვუთხრა, ერთია, როცა მოსაწვევით მოდიან და მეორე, როცა ბილეთს ყიდულობენ. ამ დროს მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ და თუ არ გავუცრუეთ იმედები, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. ძალიან ბედნიერი მივდივარ, - გვითხრა ნიკოლოზ წულუკიძემ, რომელმაც, როგორც სჩვევია, აკადემიურად წარმოადგინა სათქმელი, არნახულ სივრცეში გვამოგზაურა. ისეთი რამ მოვისმინეთ და ვიხილეთ, რაც ჩვეულებისამებრ, ფარდის მიღმა რჩება, რაც ხშირად ზეპირ არქივშია გადანახული და თუ მას დროულად არ წაეშველე, დაიკარგება. ნიკას მიერ გაცოცხლებული ეს ისტორიები ღირებულია იმითაც, რომ მათში ჩვენი ბრწყინვალე წინაპრები სიყვარულით არიან წარმოჩენილი, ამიტომ იყო ეს საღამო - სპექტაკლი-პერფორმანსი გამორჩეული, ამიტომ წამოუდგა ფეხზე დარბაზი სცენაზე მყოფთ და მადლიერების ნიშნად დიდხანს უკრავდა ტაშს.

„ბოლოს და ბოლოს მსოფლიო გაიგებს, რომ ჩემს მეუღლეს საქართველოს წინაშე დანაშაული არ ჰქონია“

ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან“ თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის სერჟანტ როინ შავაძის მეუღლე ციცინო შავაძე მისი მეუღლის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საქმეზე 10 პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. მისი თქმით, დამკვეთებიც უნდა დაისაჯონ.

„ძალიან მინდა, რომ მხოლოდ ეს პირები კი არა, დამკვეთებიც დაისაჯონ სამართლიანად, რომ ხელები არავის შეეწმინდოს - ჯერჯერობით, ამის თქმა შემიძლია“, - განაცხადა ციცინო შავაძემ.

ცნობისთვის: თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის სერჟანტის, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე როინ შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა 10 პირის მიმართ დაიწყო, მათგან 8 დაკავებულია, ორი პირის - იმჟამინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროს თეიმურაზ პატარაიძისა და ყოფილ სპეცრაზმელ გიორგი არაბულის მიმართ კი ძებნა გამოცხადდება.

ბრალდებული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც „შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის, კერძოდ - სიცოცხლის უფლების როგორც პროცედურული, ასევე არსებითი ნაწილის დარღვევა დადგინდა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე და გამოძიების მსვლელობაზე ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებდა.

საქმე ეხება 2008 წელს მომხდარ ფაქტს, რა დროსაც როინ შავაძეს „კუდ“-ის თანამშრომლები ბათუმის ერთ-ერთ კაფეში ჯერ კონდახებით გაუსწორდნენ, შემდეგ კი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი, ქობულეთისა და გურიის საზღვართან მრავალჯერადი გასროლით მოკლეს.

ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ჯგუფურად ჩადენილი, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით (განზრახ უკანონო დაკავება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) და სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით) დაიწყო.

სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება) და სსკ-ის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეპისკოპოსის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინაწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/07/23, 20 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ხულოს სამხატვრო გალერეა და სკოლა ხელოვნების ტაძარი გახდა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სიმონ ართმელაძე პირველი ხულოელი იყო, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მთელი შეგნებული ცხოვრება ხელოვნებას მოახმარა. მისი ქალიშვილი ესმა ასევე პირველი ხულოელი ქალია, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და წარმატებული ხელოვანის სახელი აქვს. იგი ხულოს სახელოვნებო სკოლის დირექტორია. ***ესმა ართმელაძე*** *ჩვენი სტუმარია.*

- ქალბატონო ესმა, რა ასაკში დაიწყეთ ხატვა?

- მშვენიერი და სასიამოვნო ბავშვობა მქონდა, მიყვარდა ხატვა და ჭადრაკი. უკვე 10 წლის ასაკში ვხატავდი, ვთამაშობდი ჭადრაკს. 1976 წელს გავხდი მოსწავლეთა შორის აჭარის ჩემპიონი ჭადრაკში, ვარ პირველთანრიგოსანი.

- მხატვრობით გატაცება მამის დამსახურებაა თუ პირადი სურვილი?

- ძალდატანებით არაფერი გამოვა, თუმცა გარკვეული წვლილი მამას მაინც მიუძღვის. როცა შემამჩნია ხატვის და ჭადრაკის ნიჭი, ყველანაირად ხელს მიწყობდა, წარმატებული რომ ვყოფილიყავი. ვხატავდი საყვარელი კინოფილმების პერსონაჟებს, პეიზაჟებს. კარგად მახსოვს მამაჩემის დიდი ტილოები, რომლებითაც ოთახის კედლები იყო დაფარული. ხატვის დიდოსტატ სიმონ ართმელაძის ნახატებიდან ნისლიანი მთა კარათი, არგინეთი და ხულოს ხედები გადმოგვყურებდნენ. დაღლილი, მშრომელი გლეხის ყოფა-ცხოვრება ჩანდა მის ყველა ტილოში. ამის შემყურემ, გავაცნობიერე, რომ მხატვარი უნდა ვყოფილიყავი.

- ფერწერული ტილო, რომლითაც დიდი ხელოვნებისკენ გზა დაგილოცეს...

- ეს იყო ჩემი სადიპლომო ნახატი „იაილები“, რომელმაც წარმატება მომიტანა. ამჟამად იგი ხულოს სამხატვრო გალერეაში ინახება. 1981 წელს მოსკოვში, სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩემმა სადიპლომო ნამუშევარმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მას შემდეგ, თითქმის ყოველ წელს, ვმონაწილეობდი აჭარისა და საქართველოს მხატვართა ნახატების გამოფენაში.

- ყველაზე მეტად რომელ ნამუშევარს გიწონებდნენ?

- ჩემეული ხელწერა მქონდა. მიყვარდა ყვავილების ხატვა, რაც სიცოცხლესთან, სიყვარულთან ასოცირდება და დღემდე შემორჩა ჩემს შემოქმედებაში. ასევე ვხატავდი ჩვენი კუთხისათვის დამახასიათებელ ოდა-სახლებს, პეიზაჟებს. მამა ყოველთვის მოგვიწოდებდა, რომ გვეხატა აჭარის ლამაზი მთები, იაილები, პეიზაჟები. ნახატს „იაილები“ ისიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

- როდის გქონდათ პირველი პერსონალური გამოფენა?

- 1986 წელს ბათუმში - სიმონ, ბადრი და ესმა ართმელაძეების ნახატების პერსონალური გამოფენა. მამა-შვილების ნახატებში წარმოდგენილი იყო მთიანი აჭარის ყოფა-ცხოვრება. გამოფენაზე თითქმის 2000-მდე ნამუშევარი გავიტანეთ.

- სიმონ ართმელაძის ინიციატივითა და თეიმურაზ კომახიძის მხარდაჭერით, ხულოში სამხატვრო გალერეა და სამხატვრო სკოლა გაიხსნა...

- მამას ყოველთვის სურდა ხულოში მათი გახსნა. თეიმურაზ კომახიძის მხარდაჭერით აიხდინა ოცნება - 2002 წელს ოფიციალურად გაიხსნა გალერეა და სკოლა, რაც ხელოვნების ტაძარი გახდა. კულტურის ეს კერები დღემდე წარმატებით ემსახურება მთიან აჭარაში მცხოვრებ მომავალ თაობას, მათ დაოსტატებას.



- გარკვეული პერიოდი სამხატვრო სკოლას ედექით სათავეში. მნიშვნელოვან მოგონებად რა დაგრჩათ?

- 2007 წლიდან გაერთიანდა მუსიკალური და სამხატვრო სკოლები და დღემდე ვმუშაობ ხულოს სახელოვნებო სკოლაში დირექტორად. ბევრი კარგი რამ შემიძლია გავიხსენო, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლისთვის მხატვარ სიმონ ართმელაძის სახელის მინიჭებაა. ეს იყო ყველაზე დიდი საქმე, რაც უნდა გამეკეთებინა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახელის უკვდავსაყოფად.

- მამას, გზამკვლევსა და ღირსეულ მხატვარს, ამაგი დაუფასეთ და მისი ნახატების წიგნი-ალბომი გამოეცით. ვისი მხარდაჭერით შესძელით ეს?

- მამაჩემის სურვილი და ოცნებაც იყო, სიცოცხლეში გამოცემულიყო წიგნი-ალბომი, სადაც მისი ყველა ნახატი იქნებოდა წარმოდგენილი, თუმცა ეს ვერ გაკეთდა ფინანსური სირთულეების გამო. არაერთი მოთხოვნის საფუძველზე, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, მერმა ვახტანგ ბერიძემ გაითვალისწინა ჩემი თხოვნა, გამოცემულიყო სიმონ ართმელაძის ნახატების წიგნი-ალბომი და ხულოს სახელოვნებო სკოლა მისი სახელობის გამხდარიყო. თქვენი ავტორობით გამოიცა სიმონ ართმელაძის ნახატების წიგნი-ალბომი, რომლის ოფიციალური წარდგენა 2018 წელს ხულოს სამხატვრო გალერეასა და სახელოვნებო სკოლაში გაიმართა. მამა იყო ღირსების ორდენოსანი, თედო სახოკიას სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ხელოვნებას შეალია, მრავალი მხატვარი გამოზარდა. ჩვენ, შვილები, შვილიშვილები ვაგრძელებთ მის ტრადიციებს, გავზრდით მომავალ თაობას ხელოვნების სიყვარულით. ყველას დიდი მადლობა, ვინც წვლილი შეიტანა ალბომის გამოცემის საშვილიშვილო საქმეში.

- სახელოვნებო სკოლას წლებია ხელმძღვანელობთ...

- თითქმის 17 წელია, ა(ა)იპ „მხატვარ სიმონ ართმელაძის სახელობის ხულოს სახელოვნებო სკოლას“ სათავეში ვუდგავარ და მხარს ვუჭერ ყველა ახალ იდეას და ინოვაციას. სკოლაში ისწავლება: ხატვა, ფერწერა-კომპოზიცია, გობელენებზე ქსოვა, ხეზე კვეთილობა, ფორტეპიანოსა და ხალხურ საკრავებზე დაკვრა. გვყავს წარმატებული ანსამბლი „ციცინათელა“, რომლის ხელმძღვანელია ლოტბარი მანანა მელაძე. ანსამბლმა მრავალგზის გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსებში. მიღებული აქვს პრიზები და დიპლომები. სკოლაში ფუნქციონირებს ანიმაციური ფილმების სტუდია, რომლის წევრებსაც მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ფესტივალებზე დიპლომები და პრიზები. ერთ-ერთმა ფილმმა „დაუდევრობა“ ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა კატეგორიაში „საუკეთესო ანიმაციური ფილმი“. მხატვრების დაკვალიანების მიზნით ვზრდით მომავალ თაობას ხელოვნების სულისკვეთებით.

- სახელოვნებო სკოლა შენდება...

- ვიმედოვნებთ, რომ მალე დასრულდება და კეთილმოეწყობა ახალი კაპიტალური შენობა, სადაც განთავსდება ხულოს სახელოვნებო სკოლა. მისასალმებელი და ჩვენთვისაც ხელსაყრელია ერთ სივრცეში ყველაფრის განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ხელოვნების აღორძინებას.

- უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხის“ სამხატვრო ხელმძღვანელ რეზო აბულაძესთან ერთად, ქალიშვილი აღზარდეთ...

- მახარებს, რომ წინა სუკუნეში დაარსებულ ანსამბლ „ბერმუხის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მოცეკვავე ჩემი მეუღლე რეზო აბულაძეა. გვყავს ქალიშვილი იოლანდა. ის წლების განმავლობაში ცეკვავდა ანსამბლ „არგინეთში“, ამასთან, ხატავს პორტრეტებს და აბსტრაქციულ ნახატებს. უყვარს მხატვარი ფრიდა კალო. ამჟამად სწავლობს თბილისში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე.

- ასაკში შესული მამის მიმართ გამორჩეულ მზრუნველობას იჩენდით.

- შვილები ვალდებულები ვართ, მშობლებს ამაგი დავუფასოთ, მათი ტრადიციები გავაგრძელოთ. დედა - ფერიდე აჯიბა აფხაზი იყო. მამას პედაგოგიური განათლება ჰქონდა მიღებული, როცა დედაზე იქორწინა. მან აღმოაჩინა მხატვრობის ნიჭი მამაში. მისი და სხვების რჩევითაც, ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მათ სიყვარულსა და ბედნიერებაზე დაფუძნებული ოჯახი ჰყავდათ. დედა კარგი დიასახლისი და სტუმართმოყვარე იყო. მამას ყოფილი პროფესორ-მასწავლებლები, კოლეგები რომ სტუმრობდნენ, ჩინებულ მასპინძლობას უწევდა. წლების განმავლობაში ქვემო ვაშლოვანის სკოლაში მასწავლებლობდა. ამ საქმეს მემთეურობასაც უთავსებდა. მეც მთაში მივყვებოდი. ნახატის „იაილები“ შექმნის იდეაც იქიდან წამოვიდა. სოფლის სკოლის პედაგოგს, სამთავრობო ჯილდოები არ აკლდა... 3 შვილი გაგვზარდა. იგი ქართველთა და აფხაზთა მეგობრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

- რა დრო მოანდომეთ საყვარელ ფერწერულ ტილო „იაილების“ შექმნას?

- თითქმის ორი წელი ვმუშაობდი ამ მოზრდილ ტილოზე. „იაილები“ ბევრჯერ გადავაკეთე და ახალი ვერსიით დავამთავრე. სამწუხაროდ, ჩემს კოლექციებში არ არის და გული მწყდება. ისე, ბევრი ნახატი გაჩუქებული და გაყიდული მაქვს. ასეთია მხატვრის ყოველდღიური ცხოვრება.

- უცხოეთის რომელ ქვეყნებშია გატანილი თქვენი ნახატები?

- ისინი ინახება ბულგარეთში, რუსეთში, იტალიასა და საფრანგეთში. აქვე გეტყვით, რომ ვარ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, აჭარის დამსახურებული ხელოვანი.

- ახლა რა ტილოზე მუშაობთ?

- ახლა ვხატავ ვარდებს - სიცოცხლის და სიყვარულის სიმბოლოს, რაც ასე გვაკლია დღეგანდელ ცხოვრებაში. გვიყვარდეს ერთმანეთი, ადამიანებო, არ გვინდა ომი და გაუტანლობა. ხელოვნება გადაარჩენს მსოფლიოს.

- თქვენი აღზრდილებიდან ვინ გაჰყვა მხატვრობას?

- მათგან გამოვარჩევდი მამუკა და მინდია ჯორბენაძეებს, რომლებმაც დაამთავრეს სამხატვრო აკადემია და სამხატვრო სასწავლებელი. მამუკა ამჟამად ჩვენთან მუშაობს. წელს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა სტამბოლში, სადაც მადლობის დიპლომი გადაეცა.

- რამდენად პროდუქტიულად მუშაობთ?

- უკვე სიბრძნის ასაკი მაქვს. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობაში უფრო მეტი შესაძლებლობები გაქვს, ვიდრე ჩემს ასაკში, მაგრამ გული არ ბერდება და ისევ ისეთი შემართებით მინდა გავაგრძელო მუშაობა, როგორც ადრე, მაგრამ წლებს თავისი გააქვს.

რა უთხრა დე ლაურენტისმა ჯუღელს?

ხვიჩა კვარაცხელიას აგენტი, საფეხბურთო სელექციონერი მამუკა ჯუღელი იტალიაში იმყოფებოდა და „ნაპოლი“ - „სპალის“ შეხვედრას დაესწრო, რომელიც, როგორც იცით, ანგარიშით 1:1 დასრულდა.

ცნობილ იტალიური გამოცემა Tele A-ს ინფორმაციით, „ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა ჯუღელს აცნობა, რომ ნახევარმცველისა და მცველის დამატებას გეგმავს. მათ რამდენიმე საინტერესო ვარიანტი განუხილავთ.

შეგახსენებთ: „ნაპოლი“ მორიგ ამხანაგურ მატჩს დღეს „ჰათაისპორის“ წინააღმდეგ გამართავს.

მატჩი თბილისის დროით 20:30 საათზე დაიწყება.

ამირან გურიელიძე